ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 2 აგვისტო, 2013 №181 (6182) ფასი: 30 თეთრი

30 ივლისიდან!
„ახალი თაობა“ +
რაინდები და ციხე-კოშკები
ფასი გაზეთთან ერთად
10 ლარი




# „ივანიშვილი სააკაშვილს დაიჭერს და პრემიერობიდან მერე წავა“



გვ.2



## სასამართლომ ბაჩო ახალაია უდანაშაულოდ სცნო

გვ.3



## მამა ანთიმოზ ბიჩინაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა

გვ.3

## დავით უსუფაშვილი: „3 თვეს ავიტანოთ სააკაშვილი და მერე ყველაფერი დალაგდება“

გვ.4





## თენგიზ დიხამინჯია: „კონსტიტუცია არავის არ უნდა მოვარგოთ“

გვ.6

რატომ უნდა გაუქმდეს ორმაგი მოქალაქეობა



გვ.5

## ირაკლი ღარიბაშვილმა აზერბაიჯანის საგანგებო სიტუაციების მინისტრი მიიღო

## ახალი როუმინგული მომსახურება — „მოგზაური“ უცხოეთში მყოფ აბონენტებს სატელეფონო ხარჯს საგრძნობლად გაუიაფებს

გვ.5



გვ.5

## ნინო ბურჯანაძე: „ნაციონალური მოძრაობის მიერ გატანილი მილიარდები ხალხს უნდა დაუბრუნდეს“

25 ივლისიდან!
„ახალი თაობა“
+
„მგლის ბილიკი“
6 ლარი




ISSN 1987-9385
9 771987 938006

**2** უკრაინის საზღვრის უკანონო გადაკვეთისას ქართველი დააკავეს

**6** გიორგი თარგამაძე: „ბიუჯეტი და ბიზნესი სახელისუფლებო კანდიდატის გამარჯვებისთვის უნდა გამოწურონ“

**5** პრეზიდენტმა გიგი კალანდაძეს ბრალის მოხსნა მიულოცა

**6** ირაკლი ალასანია: „ადამიანები, რომლებიც მეომრისთვის გამოყოფილ ნახევარ მილიონს ხელს მოკიდებენ, მუნდირის ტარების ღირსები არ არიან“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# „ივანიშვილი სააკაშვილს დაიჭერს და პრემიერობიდან მერე წავა“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძესთან

*— ბატონო შალვა, თქვენთვისაც ცნობილია, რომ პრეზიდენტმა თენგიზ გუნავა შეიწყალა, სასამართლომ კი ბაჩო ახალაია რამდენიმე საქმეში უდანაშაულოდ ცნო. დარჩენილია კიდევ ორი ბრალდება, თუმცა თუ სასამართლო მიუსჯის, მას შეუძლია შეიწყალოს მერაბიშვილიც, ახალაიაც და დანარჩენებიც?*

— ახალაიას რაც შეეხება, მე ჯერ კიდევ როდის ვწერდი თქვენთან ინტერვიუში, რომ იგეგმება ახალაიას გათავისუფლება. ეს ხალხი ყველაფერზეა წამსვლელი. ბაჩო ახალაის გამოუშვებენ იმისთვის, რომ ქვეყანაში ვითარება არიონ. რაც შეეხება შეწყალებას, კი შეუძლია ამის გაკეთება და რა არის ამ საქმეში გასაკვირი სააკაშვილისგან. სააკაშვილის იმდენი მკვლელი ჰყავს შეწყალებული, ნარკოგამსაღებლები ჰყავს შეწყალებული... 50 ათასი დოლარი სჭირდებოდა მაგ საქმეს, იყვნენ გარკვეული ადვოკატები, კოლეგები არიან და არ მინდა, გვარები დავასახელო, მიხვიდოდი იმ ადვოკატებთან მიიტანდი 50 ათასი დოლარიდან ზევით და შეგიწყალებდნენ. ზოგი სააკაშვილის დაცვას უკავშირდებოდა და ზოგიც ვის... არჩევნების დროს თქვენც იცით, რა ამბავი და რა სიტუაცია იყო. დაუყადაღეს ანგარიშები, ქართუ ბანკი გაუკოტრეს და ფაქტიურად ერთ ლარს ვერ ხარჯავდი არჩევნებზე, იმნაირი მდგომარეობა იყო. კანონში ცვლილებაც კი შეიტანეს, რომ ფულის დახარჯვა არ შეიძლებოდა, რა დაავიწყდა?! პოლიციაც მის ხელში იყო და არმიაც, მაშინ დაედასტურებინა ბიძინა ივანიშვილისთვის, რომ ორი მილიარდი დახარჯა არჩევნებში. კაცი არის აშკარად ამოვარდნილი ყველაფრიდან. იცის მან, რაც ელოდება და რა ელოდება? ელოდება განსასჯელის სკამი. ის აუცილებლად უნდა დაჯდეს განსასჯელის სკამზე და გასამართლდეს. აქ არის მეორე მომენტიც, თქვენ სწორად იკითხეთ, ჩვენ შეიძლება აღმოვჩნდეთ იმ საშიშროების წინაშე, რასაც ჰქვია ვანო მერაბიშვილის შეწყალება, ახალაიასი და ასე შემდეგ. კი ბატონო, გააგრძელოს ასე, ამაზეც აუცილებლად მოეთხოვება პასუხი. რა პრობლემაა ახლა ვანო მერაბიშვილისთვის ახალი ბრალდების წაყენება და იგივე გუნავასთვის. გუნავა იყო და რა იყო მთელმა სამეგრელომ იცის, ის იყო სადისტი.

***— მე გმირი შევიწყალე და ივანიშვილმა პედოფილები გამოუშვა ციხიდანო...***

— რომელი პედოფილი გამოუშვა, ერთი მანახა, რა? ამნისტია გამოვიდა და ერთი მეოთხედი მოაკლდა ყველა დანაშაულს. არაადეკვატური სასჯელები იყო მისჯილი, 30 წლები და სამუდამო პატიმრობები იყო იმნაირ დანაშაულობებზე მისჯილი, რომელიც არაადეკვატურია. გადავხედოთ ევროპის სასამართლო პრაქტიკას, გადავხედოთ თუნდაც იგივე სხვა ცივილიზებული სამყაროს სასამართლო პრაქტიკებს და ვნახოთ, რა სასჯელები აქვთ



იმ ადამიანებს მისჯილი?! არაადეკვატური სასჯელები იყო და ამიტომ ამნისტიაში ჩაიწერა შესაბამისი მუხლი, რომ ყველა დანაშაულზე მოაკლდეს ერთი მეოთხედი. წადი სახლშიო, არავისთვის არ უთქვამთ. გაშვება რასაც ჰქვია, ეს ნაკლებად მძიმე დანაშაულობებს შეეხო.

***— თვითონ არ შეიწყალა მკვლელები?***

— კაცს, რომელმაც გირგვლიანის მკვლელები შეიწყალა, არ ვიცი, რამდენი ერთი ჩამოვთვალო, ნარკოგამსაღებლები ჰყავს იმნაირი შეწყალებული, ჭკუიდან რომ გადახვალ. ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს? გამოდის, რომ ჩვენ კოჰაბიტაციაში ვართ, ჩვენ ანგარიშს ვუწევთ, რასაკვირველია, უნდა გავუწიოთ ანგარიში ცივილიზებულ სამყაროს ჩვენ მეზობელ სახელმწიფოებს და ასე შემდეგ, მაგრამ ესენი შემოგვიბრუნდნენ და უკვე იმნაირ ენერგიაზე არიან, ფაქტიურად ყოველდღიურად იგივეს აკეთებენ. სააკაშვილი რა უკანონობასაც სჩადის, ყველა ვხედავთ. ღვთის წყალობით კიდევ კარგი პოლიცია და ჯარი რომ არა ჰყავს, თორემ ალბათ ერთიანად დაგვხოცავდა ყველას. რა საშუალებაც აქვს, სადაც ხელი მიუწვდება, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სიტუაცია არიოს და დაძაბოს. მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ და რამდენი ხანია ეს ინფორმაცია მაქვს, რომ მზადდება ვანო მერაბიშვილის და ახალაის გამოშვება, მზადდება იგივე გიგი უგულავაზე და ნიკა გვარამიაზე გამამართლებელი განაჩენები. ძალიან კარგად იცის ნაციონალურმა მოძრაობამ, რომ ამას შეიძლება მოჰყვეს სერიოზული უკმაყოფილება და არეულობა ქვეყანაში. ეს არეულობა კი ვის აძლევს ხელს? აძლევს მაგათ. თავიდანვე სულ ამას გავიძახოდი, რომ სააკაშვილი არის რუსეთის აგენტი, რუსეთის სპეცსამსახურის თანამშრომელია და პირწმინდათ ასრულებს მათ დავალებებს. სანამ პირში სული ედგმება, მანამ შეასრულებს მათ დავალებებს.

***— როგორ ფიქრობთ, არ არის დრო, მოხდეს მისი განეიტრალება? ამ არჩევნების ლოდინში ხომ შეიძლება, რომ ბევრად უფრო ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანოს? სანამ ახალი არჩევნები არ ჩატარდება, შემდეგ ინაუგურაცია არ მოხდება, სააკაშვილს ხელს ვერავინ ახლებსო, მერე გვიანი ხომ არ იქნება? იმაზეც საუბრობენ, რომ არჩევნების შემდეგ შეიძლება ირანში გაიქცესო...***

— არ ვიცი, სად გაიქცევა და რას გააკეთებს, ჩვენ არ უნდა მივბაძოთ სააკაშვილს და უნდა ვიმოქმედოთ კანონიერების ფარგლებში. ისე არ უნდა მოხდეს, რომ ანგარიშსწორებები დავიწყოთ. ეს არის ქვეყნის ჭირი და ეს ჭირი არის მოსაშორებელი და რაც უფრო უმტკივნეულოდ მოვიშორებთ ამ ჭირს, მით უკეთესი. გუნავას გარეთ გამოშვების გამო ატეხო ახლა ერთი ამბავი, მიუვარდე იქ სასახლეში და გადმოაყირაო იმ სასახლიდან, რა თქმა უნდა, ეს არასწორია და ასეთ ქმედებებზე არ უნდა წავიდეთ. თორემ რისი ღირსიცაა ეგ, ქართველმა ხალხმა კარგად იცის. მე კიდევ ერთხელ გავიმეორებ, თუ კოჰაბიტაცია გადასცდება კოჰაბიტაციის ფარგლებს, ქართველი ხალხი გამოვა და არა მარტო სააკაშვილს, მთელ მაგ ნაციონალების ხროვას გასცემს იმ პასუხს, რაც გასაცემია. ასე რომ, მე ამ კუთხით ძალიან მშვიდად ვარ.

***— ახალი ხელისუფლება ყველანაირ დათმობაზე წავიდა, მე მგონი, მეტისმეტიც მოუვიდა ეს კოჰაბიტაცია და საკუთარი რეიტინგიც შესწირა ამას, მაგრამ მეორე მხრიდან რომ არ არის საპასუხო რეაქცია და მხოლოდ აგრესიას ვხედავთ?***

— მეტი რა ქნას ახალმა ხელისუფლებამ, ამიხსენით, შეუძლებელი შეძლო. მე თქვენ გეტყვით, ახლა უამრავი საქმეები, ბეჟუაშვილზე, კეზერაშვილზე, საყვარელიძეზე და კიდევ ბევრ სხვაზე, მათ შორის დეპუტატებზე, არა დეპუტატებზე უკვე გამზადებული დევს პროკურატურაში, მხოლოდ ერთგვერდიანი საბრალდებო დასკვნაა დასაწერი. იგივე უგულავაზე და კიდევ ზოგიერთ გუბერნატორზე, სხვა ისეთ საქმეებზე, რომლებიც ჯერ გაჟღერებული არ არის. ეს საქმეები მიყვანილია ბოლომდე და დევს. ეს ხალხი ამ კოჰაბიტაციის ფარგლებში ითმენს ჯერჯერობით, აკვირდება ყველაფერს, გაგებით ეკიდებიან სიტუაციას, ალარავის უნდა არეულობა ქვეყანაში. ამ დაზარალებულმა ხალხმა დროებით გვერდზე გადადო პირადი ინტერესები და კიდევ არიან მოლოდინის რეჟიმში. თუმცა, ამის პარარელურად ჩვენ ვხედავთ, რომ ესენი დღითიდღე აგრესიულები ხდებიან და აქეთ შეტევაზე გადმოდიან. გუნავას შემთხვევა — ეს უკვე კატასტროფა იყო. გუნავა პოლიტიკაში რჩებაო, რომ აცხადებს რუსთავი 2, რომელი პოლიტიკოსი გუნავა მყავდა? ზონდერბრიგადის წევრი იყო და ატერორებდა სამეგრელოს. აქ საქმე სხვა რამეშია, ესენი არიან ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედი ადამიანები, ამ ხალხს მხოლოდ საკუთარი ინტერესები ამოძრავებთ. ამ ჭირს რაც მალე მოვიშორებთ და თან უმტკივნეულოდ, ჩვენთვის უკეთესი იქნება. გაიქცევა ამ ირანში და გაიქცეს და იჯდეს იქ.

***— მერედა, არ შეუძლია, რომ იქიდან მოუტანოს ქვეყანას ზიანი?***

— სახელმწიფო როცა დგას თავის მოწოდების დონეზე, შესაბამისად სამართალდამცავი ორგანოები, ასეთი ლაჩრები და პოლიტიკური ავანტიურისტები, ვერასდროს თავიანთ შედგეს ვერ აღწევენ. დამერწმუნეთ, ამის ისტორიული მაგალითები არსებობს უამრავი. სააკაშვილი სკამზე იჯდა და მაშინ ვერაფერი გვიქნა და მერე რას გვიზამს?! წაიყვანოს ის გუნავაც და უნდათ ტყეში გავიდნენ პარტიზანებად და უნდათ ჯიხადში ჩაეწერონ. ეს ყველაფერი სისულელეა, ტყუილად ცდილობს, მისი ადგილი ქართულ პოლიტიკაში აღარასოდეს იქნება, ის პოლიტიკაში ვერასოდეს დაბრუნდება! მარტო ის კი არა, მთელი ის ჯგუფი, ვინც ამ ყველაფერში იყო გარეული. თუმცა არ შემიძლია აქვე ერთი რამ არ ვთქვა, ეს ტელევიზიები სულ გადამრევენ, რომ მოიწვევენ ამ ყოფილ ნაციონალებს და ექსპერტებად უზით და აზრს ეკითხებიან, სად აქვთ ამ ჟურნალისტებს ჭკუა, ამას რას სჩადიან, ამ ყველაფერს ხალხი უყურებს და ძალიან გაღიზიანებულია. მე ძალიან მიყვარს ტელეკომპანია მაესტრო, მაგრამ აღარ შეიძლება ამ სიჭინავას გადაცემის ყურება, სულ ტყავგამოცვლილი ნაციონალები ჰყავს ეთერში.

***— მერედა, რამდენად სახიფათოა ქვეყნისთვის ეს ტყავგამოცვლილი ხალხი? ვხედავთ, რომ აქტიურად ხდება სხვადასხვა პარტიებში თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში ნაციონალების გადადინება...***

— ერთბაშად გამოიცვალეს ტყავი, გველი რომ ტყავს იძრობს, ისე გაიძვრეს, თვითონაც ხომ გველები არიან, ყველა ნაციონალი ამ ჯიშის და ჯილაგის არის. შექმნეს არასამთავრობო ორგანიზაციები და ახლა იქიდან გვმოძღვრავენ. მესამეჯერ იცვლიან უკვე ტყავს, ჯერ იყო და მოქკავშირმა შეიცვალა ტყავი და ნაციონალებში ჩაძვრა. მე არ ვიცი, ამას რატომ უშვებენ ეს ტელევიზიები, ყველაზე მეტად კი სიჭინავას გადაცემაში ვხედავ ამ ნაციონალების ფრიალს. მინდა გითხრათ, რომ „რუსთავი2“-ც კი აღარ აკეთებს ამას. რომ გამოგყავს და ექსპერტს უძახი, იკითხე მაინც, შე კაი დედმამისშვილო, არ არის ეს კაცი ექსპერტი, ნაციონალია, რომელიც ორი დღის წინ ხალხს ყვლეფდა და ატერორებდა. ზოგიერთმა ადვოკატობაც დაიწყო და დუბინკებითა და მეტალით რომ თავებს გვიხეთქავდნენ, ეს დაავიწყდათ. მეტი კოჰაბიტაცია რაღა გინდათ ეხლა, 7 ნოემბერს ლამის მომკლეს, 26 მაისს მთელი ჩემი ოჯახი და მთელი სამეგობრო ციხეებში ვეყარეთ თავებდახეთქილები და დღესაც ნაკერები გვადევს და დღემდე ვმკურნალობთ და კაცი რომელიც ყვიროდა — მაგარია მიაწექითო, საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩიეს. კარგით რა, ხალხო!

***— ეს რამდენად ნორმალური მოვლენა იყო? რატომ დაუშვეს ეს?***

— რა ნორმალურია, კაცი ჭკუაზე აღარა ვარ, ლამისაა გავიქცე და რომელიმე სახელმწიფოს მოვთხოვო თავშესაფარი. ყურება აღარ მინდა ამ ყველაფრის. დავიღალეთ! ჯანდაბას, ვითმინეთ ამდენი, კოჰაბიტაციაა და კი ბატონო...

***— მაგრამ ამ კოჰაბიტაციას უნდა გადავაყოლოთ ქვეყნისა და ჩვენი მოსახლეობის ინტერესები?***

— გეთანხმებით, რა გამოდის ახლა, სადაა ზნეობა და სამართალი?! რა იყო, ბოლო ბოლო ჯაბა სამუშია აერჩიათ, ან სხვა, უფრო ნეიტრალური, ხალხი რომ არ გაღიზიანებულიყო. რაღა ეს აირჩიეს. ჩვენ თავი გადავდეთ ყველაფრისთვის, სიკვდილ-სიცოცხლეს ვეთამაშებოდით და რა გამოვიდა?! ხალხმა ამდენი იომა, ითმინა, 9 წელიწადი რეჟიმს არ შეეგუა, ციხეებში იჯდა, სიცოცხლე რისკის ქვეშ დააყენა და ბოლოს რა გამოვიდა? გადავიმტერე ეს ხალხი და ბოლოს რა გამოვიდა, ამ ხალხთან მოხდა კოჰაბიტაცია და ისე კარგად გუგულებენ ერთმანეთში, რომ გაგიკვირდება, ვითომ ჩვენ ვიყავით სააკაშვილი და რეჟიმი. ადამიანებს რწმენა შეერყათ. იმის მაგივრად, რომ ხალხს რაღაც აუხსნან, ნაციონალები აქეთ თავდასხმაზე გადმოდიან. ძალიან მეშინია, ეს ყველაფერი არ გადავიდეს უმართავ პროცესებში, რაც საბოლოოდ მაინც ნაციონალების წისქვილზე დაასხამს წყალს.

***— საუბარია, რომ გარკვეულ ჯგუფს მიზანმიმართულად მიჰყავს აქეთკენ ყველაფერი, რომ ივანიშვილის იმიჯი შეილახოს და რეიტინგი დაეცესო...***

— ივანიშვილის იმიჯს ვერავინ ვერ შეარყევს. ამ კაცმა ყველაფერი გააკეთა თავისი ქვეყნისთვის, ისტორიაში შეიტანა თავისი და ეხლა კიდევ მეორეჯერ შეაქვს. სააკაშვილს დაიჭერს და მერე მეორე, მიდის ეს კაცი პოლიტიკიდან. ანუ მან დაამტკიცა, რომ ეს კაცი სკამის და ძალაუფლებისთვის არ მოსულა! პატრიოტია! მსგავსი შემთხვევა მსოფლიო ისტორიაში ალბათ ერთი იყო, მე რაც ვიცი, ალბათ მახათმა განდი. მეტი არც გამიგია.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ მიშას დაიჭერს და მერე წავა?***

— დიახ დაიჭერს და მერე წავა!

## უკრაინის საზღვრის უკანონო გადაკვეთისას ქართველი დააკავეს

უკრაინის სახელმწიფო საზღვართან საქართველოს ექვსი მოქალაქე დააკავეს.

ოთხი მათგანი სამართალდამცველებმა მაშინ შეამჩნიეს, როდესაც ისინი საზღვრის მიმართულებით მიდიოდნენ. სასაზღვრო დანაყოფი მათ კვალზე, კინოლოგიური სამსახურის მეშვეობით გავიდა, რის შემდეგაც მათი დაკავება მოხდა. დაკავებულებმა განაცხადეს, რომ ისინი საქართველოს მოქალაქეები იყვნენ.

უკრაინის სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის პრეს-მდივნის განცხადებით, შემთხვევიდან დაახლოებით ორი საათის შემდეგ, იმავე მონაკვეთზე, მესაზღვრეებმა კიდევ ორი ქართველი დააკავეს. სასაზღვრო მონაკვეთში უცხოელების გამოჩენის შესახებ, სამართალდამცველებს ადგილობრივმა მცხოვრებმა აცნობა.

ნიუსპრესი

## საიამ პრეზიდენტის ადმინისტრაციის, შსს-სა და თბილისის მერიის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა

საიამ, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის გაუცემლობის და მოთხოვნილი ინფორმაციის არასრულყოფილი სახით გაცემის ფაქტზე, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და თბილისის მერიის წინააღმდეგ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებებით მიმართა.

საიას პრესსამსახურის ინფორმაციით, ორგანიზაცია ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოებიდან , 2011 წლის 1 იანვრიდან შეძენილი და ჩუქების სახით მიღებული ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის, ჩუქების თარიღის, გადახდილი თანხების ოდენობისა და ყველა იმ სამართლებრივი აქტის გაცემის შესახებ ითხოვდა ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, შესაბამის დაწესებულებებში ავტო-სატრანსპორტო საშუალებების შეძენის წესი განისაზღვრება.

მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაუცემლობის შემდეგ, საიამ განმეორებით მიმართა, როგორც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, ისე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ამ უწყებებს ინფორმაცია დღემდე არ გაუციათ. თბილისის მერიამ კი, განმეორებით განცხადების წარდგენის შემდეგ, მოთხოვნილი ინფორმაცია მხოლოდ ნაწილობრივ გასცა, თუმცა, თითოეულ ავტომობილში გადახდილი თანხის ოდენობა არ მიუთითა.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სასამართლომ ბაჩო ახალაია უდანაშაულოდ ცნო

ნათია ხურცილავა

**თბილისის საქალაქო სასამართლომ თავდაცვის ყოფილი მინისტრი, ბაჩო ახალაია და შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსი, გენერალი გიგი კალანდაძე უდანაშაულოდ ცნო. საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი დარახველიძემ გუშინ აღნიშნული პირების მიმართ თავდაცვის სამინისტროსთან დაკავშირებულ ეპიზოდში გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.**

სასამართლო პროცესის დაწყებამდე, ბაჩო ახალაიას მეუღლემ, ანი ნადარეიშვილმა ყოფილი თავდაცვის მინისტრის გულშემატკივრები გააფრთხილა, რომ ემოციები არ გამოეხატათ, დაამატა, რომ ეს ბაჩოს თხოვნა იყო. სასამართლო პროცესს ნაციონალური მოძრაობის ის წევრები ესწრებოდნენ, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ბაჩო ახალიასთან დაახლოებული პირები იყვნენ. მოსამართლის განაჩენი მოულოდნელი აღმოჩნდა მათთვის, რამაც დიდი ემოციები გამოიწვია, როგორც დარბაზში, ასევე დერეფანში, სადაც ის გულშემატკივრები იყვნენ, რომლებიც დარბაზმა ვერ დაიტია.



საქმე ეხებოდა სამხედრო მოსამსახურეებისთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების, თავისუფლების აღკვეთის ეპიზოდებსა და ზვიად აბესაძესთან დაკავშირებულ ეპიზოდს, როდესაც მას, პროკურატურის ინფორმაციით, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და თავისუფლება აღუკვეთეს.

ბაჩო ახალაიასთან ერთად აღნიშნულ საქმეზე ბრალდებულების – გიორგი კალანდაძის, ალექსანდრე გორგაძის, ზურაბ შამათავას, მერაბ კიკაბიძის, მანუჩარ დარასელიასა და გიორგი კინწურაშვილის საქმეები განიხილებოდა, თუმცა მათგან დარასელია და კინწურაშვილი მიმალვაში არიან და შესაბამისად, პროცესს არ ესწრებოდნენ.

შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსის, გენერალ გიგი კალანდაძის განცხადებით, მათ წინააღმდეგ წაყენებული ყველა ბრალდება უსაფუძვლო იყო.

ჟურნალისტებთან კალანდაძემ სასამართლოს სხდომის დასრულების შემდეგ გააკეთა აღნიშნული კომენტარი.

– მე პროცესის დაწყებამდეც ვთქვი, რომ ვიცოდით, ყველა უდანაშაულოები ვიყავით და ეს იყო უსაფუძვლო ბრალდება. – გვითხრა კალანდაძემ.

ამავე საქმეზე ყოფილი ბრალდებული ალექსანდრე გორგაძე კი აცხადებს, რომ მათი უდანაშაულობა საბოლოოდ დამტკიცდა.

– საბოლოოდ დაამტკიცა, დააკანონა მოსამართლემ ის უდანაშაულობა, რომელიც იყო ამ 5 თვის მანძილზე. ეს იყო სიმართლე. – აცხადებს გორგაძე.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ზურაბ შამათავასა და ალექსანდრე გორგაძეს სასჯელის მუხლი შეეცვალათ და 140-საათიანი საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა შეეფარდათ, თუმცა ამნისტიის შესახებ კანონის თანახმად, ეს სასჯელიც მოეხსნათ.

საქმე ეხებოდა სამხედრო მოსამსახურეებისთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების, თავისუფლების აღკვეთის ეპიზოდებსა და ზვიად აბესაძესთან დაკავშირებულ ეპიზოდს, როდესაც მას, პროკურატურის ინფორმაციით, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და თავისუფლება აღუკვეთეს.

გენერალმა გიგი კალანდაძემ მოსამართლე გიორგი დარახველიძეს მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ „იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის ზეწოლის ქვეშ არ მოექცა“.

– მინდა, მოსამართლე გიორგი დარახველიძეს მადლობა ვუთხრა, რომ სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო და არ მოექცა ზეწოლის ქვეშ, რომელ ზეწოლასაც ოფიციალურად, ყველანაირი პრეზუმფციების დაცვის გარეშე იუსტიციის მინისტრი აწარმოებდა. მან რამდენჯერმე მე ღია ეთერში ბრალი დამდო, რომ მე ვახორციელებდი ზეწოლას მოწმეებზე სამეგრელოს რეგიონში, რომელიც არ დადასტურდა. ასევე თქვენ მინდა გითხრათ დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის და ასევე იმ ხალხს, რომელსაც ბოლომდე სჯეროდა და სწამდა ჩემი და ჩემი მოქმედებისა შეიარაღებულ ძალებში. – განაცხადა კალანდაძემ.

პროკურატურა თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას მიმართ საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს გაასაჩივრებს.

– საქართველოს პროკურატურა მიიჩნევს, რომ ბაჩანა ახალაიასთვის ბრალად შერაცხული დანაშაულების ჩადენა დადასტურებულია სასამართლო გამოძიების დროს გამოკვლეული, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებათა ერთობლიობით. შესაბამისად, სასამართლოს განაჩენის მიღების, შესწავლისა და გაანალიზების შემდეგ მიღებული იქნება გადაწყვეტილება, განაჩენის სააპელაციო წესით გასაჩივრების შესახებ, რაზედაც საზოგადოება დამატებით იქნება ინფორმირებული. – აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

ირაკლი ნადარეიშვილი, პროკურორი:

– აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებას ვაპირებთ. გავერკვევით, თუ რა არგუმენტებით ისარგებლა მოსამართლემ. ჩვენი აზრით, გადაწყვეტილება არ შეესაბამება იმ ჩვენებებს, იმ ვითარებას, იმ მტკიცებულებებს, რაც სასამართლოზე იქნა წარმოდგენილი. სრულიად არაადეკვატური გადაწყვეტილება იქნა მიღებული მოსამართლის მხრიდან. 26 დაზარალებულის, 94 მოწმის ჩვენება მან საერთოდ უგულვებელყო. იგნორირება გაუკეთა იმ ადამიანების ტანჯვა-წამებას, რომლებიც ამ ეპიზოდებს ჰყვებოდნენ. ამ დაზარალებულების ჩვენებებზე მოსამართლემ თვალი დახუჭა.

თავდაცვის ყოფილ მინისტრ ბაჩო ახალაიასთან ერთად ყოფილი ბრალდებულის, ზურაბ შამათავას განცხადებით, ის მზადაა, საქართველოსთვის 140 საათი კიდევ იმუშაოს.

– 14 წელი ვიმუშავე საქართველოს სასარგებლოდ და 140 საათსაც ვიმუშავებ, არ არის პრობლემა, თუმცა ეგ მუხლი ამნისტირებულია. – განაცხადა შამათავამ.

თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას ადვოკატს მალხაზ ველიჯანაშვილს ამ ეტაპზე არ სურს გახმაურება, აქვს თუ არა დაცვის მხარეს საფუძველი დანარჩენ ორ ეპიზოდთან დაკავშირებით ახალაიასთვის აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის შეცვლის მოთხოვნით სააპელაციო სასამართლოს მიმართოს.

ბაჩო ახალაიას ადვოკატის განცხადებით, თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ბაჩო ახალაიას ბრალეულობა არც დარჩენილ ორ ეპიზოდში იკვეთება.

– რეინჯერების საქმეში ბაჩო ახალაიას არავინ ახსენებს. ამ საქმეში თუ ვილაც ამბობდა, რომ ახალაიამ მაშინ მინისტრი იყო, მივიდა, შეურაცხყოფა მიაყენა, იქ საერთოდ არაფერი ხდება. რაც შეეხება ციხის ბუნტს, ამ საქმის განხილვა ჯერ არ დაწყებულა. საქმეში არის ჩვენებები, რომელიც, ვფიქრობ, მიღებულია ზეწოლის შედეგად, იმიტომ, რომ ამავე ხელისუფლების დროს ადამიანს მიცემული აქვს ჩვენება, შემდეგ შეცვლილი, ეტყობა, რომ მასზე ვილაცამ ზეწოლა მოახდინა. აბა, რატომ შეიძლება, სამჯერ შეცვალო ჩვენება და არც დაგიჭირონ ამის გამო?! – განაცხადა ველიჯანაშვილმა.

როლანდ ახალიამ, ბაჩო ახალიას მამამ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ მისი შვილის – ბაჩო ახალაიას გამამართლებელი განაჩენით ქართულმა მართლმსაჯულებამ ნათელი ფურცელი ჩაწერა თავის ისტორიაში.

– მოსამართლემ სამართლიანი განაჩენი გამოიტანა. მე ვესწრებოდი ყველა პროცესს და როგორც იურისტი, ვხედავდი, რომ არაფერი არ ჰქონდათ, შესაბამისად ასეთ გადაწყვეტილებას ველოდი. სასამართლომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო. მართლმსაჯულებამ თავის ისტორიაში ღირსეული ნაბიჯი გადადგა და ნათელი ფურცელი ჩაწერა. რაც შეეხება სხვა ბრალდებებს, სხვა ბრალდებები უფრო სუსტია, ვიდრე ესენი იყო და ალბათ, იქაც გამართლება იქნება იმიტომ, რომ იქ საერთოდ არანაირი შეხება ბაჩოს, რასაც ედავებიან, ე.წ. შვიდკაცაში საერთოდ არ აქვს და როგორც ამ სასამართლოზე, ისე იმ სასამართლო პროცესებზე ბრალდებულებმა აშკარად დაადასტურეს, როგორ აიძულებდნენ, რომ თუ ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ მისცემდნენ ჩვენებას, მაშინ გარეთ დარჩებოდნენ. როცა მათ ვერ მიიღეს ეს, ამიტომ ისინი აღმოჩნდნენ საბრალდებო სკამზე, მაგრამ იმედია, იქაც სამართალი იზეიმებს.

**გოგიტა გაბაიძე, ადვოკატი:**

– სასამართლოს მიერ გამოცხადებული გადაწყვეტილება აბსოლუტურად სამართლიანი გადაწყვეტილებაა. ვინაიდან ჩემი დაცვის ქვეშ მყოფები გენერალი გიგი კალანდაძე და მერაბ კიკაბიძე აბსოლუტურად უდანაშაულოდ იქნენ ცნობილი. ჩვენ მაშინაც ვამბობდით და ახლაც ვამბობ, რომ საქმეში არანაირი მტკიცებულება არ არსებობდა. ამ გადაწყვეტილების გარდა სხვა გადაწყვეტილება არც კი შეიძლებოდა დღევანდელ სამართლიან და დამოუკიდებელ სასამართლოს მიეღო.

**ზურაბ ჯაფარიძე, ნაციონალური მოძრაობის წევრი:**

– გამამართლებელი განაჩენის მოლოდინი იყო, რადგან საქმის განხილვის პროცესში ჩანდა, რომ თეთრი ძაფით იყო ნაკერი. მოწმეების უმრავლესობამ განაცხადა, ჩვენება პროკურატურის ზეწოლის ქვეშ მისცა. პროცესის მიმდინარეობისას პროკურატურას მტკიცებულებები ჩამოეშალა.

***– რა შეგიძლიათ სასამართლოს დამოუკიდებლობაზე გვითხრათ, თუნდაც ამ განაჩენის შემდეგ?***

– სასამართლო ბევრად უფრო დამოუკიდებელია, ვიდრე წინა წლებში იყო. ჩვენ გავდივართ სტადიებს, რომელიც გაიარეს ბალტიისპირეთის ქვეყნებმა, როდესაც სასამართლოს ხელმძღვანელობა ერთი პოლიტიკური ხელისუფლების პირობებში იყო დაკომპლექტებული. შემდეგ პოლიტიკური ხელისუფლება შეიცვალა, სასამართლო ხელისუფლება კი იგივე დარჩა და სწორედ ეს გახდა ბალტიისპირეთშიც სასამართლოს დამოუკიდებლობის მთავარი ფაქტორი. ჩვენც ამ ეტაპს გავდივართ, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ სასამართლოზე ზეწოლა არ არის. კონკრეტული მაგალითი შემიძლია გავიხსენო საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწის შემთხვევა. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოება აქტიური იყოს, ყურადღება მიაქციოს მსგავს ფაქტებს და სამართალდამცავებმა მსგავს ფაქტებზე მკაცრი რეაგირება მოახდინონ.

***– შეიძლება ეს იყო ეპიზოდური მოვლენა თუ განზოგადება შეიძლება?***

– რთული ამაზე კომენტარი, მაგრამ ეს ერთი ფაქტიც შემაშფოთებელია.

**ნუგზარ წიკლაური, ნაციონალური მოძრაობის წევრი:**

– სასამართლომ მიიღო სწორი, სამართლიანი გადაწყვეტილება და ეს მის პრესტიჟს კიდევ უფრო ამაღლებს. მინდა მივულოცო ყველას, ბაჩოს მეგობრებს, ახლობლებს, ყველა იმ ადამიანს, ვისთვისაც მნიშვნელოვანია სიტყვები: სიმართლე და სამართლიანობა.

***– დღევანდელი სასამართლო თავისუფალია?***

– სასამართლოს დამოუკიდებლობა, სასამართლოს სრულყოფა არის დაუსრულებელი პროცესი. ნაბიჯები, რომელსაც სასამართლო დგამს, განსაკუთრებით ის ნაბიჯი, რომელიც გადადგა ამ გადაწყვეტილებით მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლო სულ უფრო და უფრო დამოუკიდებლი ხდება.

**აკაკი მინაშვილი, ნაციონალური მოძრაობის წევრი:**

– ველოდით ასეთ გადაწყვეტილებას. თვეებია ეს პროცესი მიმდინარეობს და საზოგადოება თვითონ გახდა მოწმე იმისა თუ როგორ აყალბებს პროკურატურა მტკიცებულებებს. როგორ აყალბებს ჩვენებებს მოწმეებზე ზეწოლის გზით. ცრუ ინფორმაციის გავრცელების გზით. ამდენად, სასამართლომ სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო. ეს ადამიანები საქართველოს საქმეს აკეთებდნენ და მომავალშიც ჩვენი ქვეყნის საქმეს გააკეთებენ.

**თენგიზ გუნავა, სამეგრელოს გუბერნატორი:**

– ეს ადამიანები გამართლდნენ, რადგან მართლები იყვნენ. სასამართლომ ობიექტური გადაწყვეტილება მიიღო. პროკურატურა უსუსური იყო.

# მამა ანთიმოზ ბიჩინაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა

ნათია ხურცილავა

საქალაქო სასამართლოში გუშინ, 17 მაისს რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ბრალდებული ორი სასულიერო პირისა და სამი სამოქალაქო პირის სასამართლო პროცესი განახლდა.

საქალაქო სასამართლოს მოსამართლის მერაბ ჯორბენაძის გადაწყვეტილებით 17 მაისის ინციდენტში ბრალდებულ მამა ანთიმოზ ბიჩინაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა. აღნიშნული შუამდგომლობით სასამართლოს დაცვის მხარემ მიმართა.

ამავე საქმეზე ბრალდებული დანარჩენი 4 პირის საქმის განხილვა კი 15 აგვისტოს ჩაინიშნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მერაბ ჯორბენაძის გადაწყვეტილებით, 17 მაისის საქმეზე ბრალდებული მღვდლის, თამაზ ბიჩინაშვილის (მამა ანთიმოზი) საქმის არსებითი განხილვა აღარ გაიმართება.

მოსამართლის განცხადებით, საქმეში არსებობს მხოლოდ ერთი ვიდეომასალა, სადაც ისმის გინება და, როგორც მოსამართლემ აღნიშნა, კიდეც რომ დადასტურდეს ის ფაქტი, რომ ნამდვილად თამაზ ბიჩინაშვილი იგინება, ეს არ არის საკმარისი მტკიცებულება იმისათვის, რომ მან ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული.

განაჩენის გამოტანამდე სამების საკათედრო ტაძრის არქიმანდრიტმა, ბერმა ანთიმოზ ბიჩინაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა:

– ჩემმა ადვოკატმა ბრალის შეწყვეტის შუამდგომლობა უნდა დააყენოს და იმედი მაქვს, რომ ბრალეულობას მოხსნიან, რამეთუ ჩემს წინააღმდეგ, არანაირი დამამტკიცებელი, რომ რამე გავაფუჭე, არ არსებობს, პირიქით,



სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ როცა გავრბივარ, მივდივარ პოლიციის დასახმარებლად, რომ ავტობუსი გავუშვა და იქ არ მოხდეს ცუდი რაღაც. როგორც აღვნიშნე, პირიქით ვცდილობ, ბავშვები, რომლებიც ავტობუსში იმყოფებიან, გავიყვანო თავისუფლების მოედნიდან და ამის ფაქტებიც არსებობს. – განაცხადა მამა ანთიმოზ ბიჩინაშვილმა.

პროკურატურას მამა ანთიმოზ ბიჩინაშვილისთვის ბრალი წაყენებული ჰქონდა სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლით, რაც გულისხმობს შეკრების ან მანიფესტაციის მოწყობის, ანდა მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლას – ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

ამავე საქმეზე ამავე მუხლით ბრალდებულია კიდევ ოთხი ადამიანი, მათ შორის, ასევე, ერთი სასულიერო პირი – ბერი, მამა იოთამ ბასილაია, რომელთა საქმის არსებითი განხილვა 15 აგვისტოს განახლდება.

17 მაისის საქმეზე სისხლის სამართლის 161-ე მუხლით ბრალი ჰქონდათ წაყენებული თამაზ ბიჩინაშვილს (მამა ანთიმოზი), ირაკლი ბასილაიას (მამა იოთამი), ტიტალ დავრიშიანს, ბექა სალუქვაძესა და გიორგი ბასიაშვილის. ეს მუხლი ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

უკვე ცნობილია, რომ აღნიშნულ საქმეზე არსებითი განხილვა მხოლოდ ოთხი პირის მიმართ გაგრძელდება.

როგორც ცნობილია, 17 მაისის რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებში მონაწილე ორ სასულიერო პირს – სამების ტაძრის არქიმანდრიტს, მამა ანთიმოზ (თამაზ) ბიჩინაშვილსა და იოანე და თორნიკე ერისთავის სახელობის დედათა მონასტრის იღუმენს, მამა იოთამ (ირაკლი) ბასილაიას ბრალი 23 მაისს წაუყენეს. სასულიერო პირების გარდა აღნიშნულ საქმეზე ასევე ბრალდებულები არიან ბექა სალუქვაძე, გიორგი ბასიაშვილი და ტიტან დავრიშიანი.

17 მაისის ინციდენტში ბრალდებული სასულიერო პირის, მამა იოთამის ადვოკატის გელა ნიკოლაიშვილის განცხადებით, დაცვის მხარემ წინასასამართლო სხდომაზე საქმის შეწყვეტის შუამდგომლობა დააყენა.

ამის შესახებ ნიკოლაიშვილმა ჟურნალისტებს სასამართლო სხდომის დაწყებამდე განუცხადა.

– დღეს არის წინასასამართლოს სხდომა, რომელზეც შუამდგომლობები იქნება განხილული და გადაწყდება, საქმის არსებითი განხილვა უნდა გაგრძელდეს თუ შეწყდეს წარმოება. მე დავაყენებ შუამდგომლობას, რომ სასამართლომ საქმე შეწყვიტოს. – განაცხადა ნიკოლაიშვილმა.

გელა ნიკოლაიშვილის ინფორმაციით, ხუთივე ბრალდებულის ადვოკატს იგივე შუამდგომლობა ჰქონდა სასამართლოზე.

# თეა წულუკიანი: „დადასტურდა, რომ სასამართლო პროკურორებისაგან თავისუფალია“

შორენა მარსაგიშვილი



გუშინ მთელი საქართველოს ყურადღება ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესისკენ იყო მიპყრობილი. ყოფილი მინისტრის ადვოკატები უკვე კარგა ხანია ამტკიცებენ, რომ ახალაია მალე გათავისუფლდება. თუ ყველაფერი ისე წავიდა, როგორც ახლა მიდის, ახალაია შესაძლოა მართლაც გათავისუფლდეს. გუშინდელმა სასამართლომ ასეთი განცდა ნამდვილად გააჩინა.

ხალხს უკვე დიდი ხანია ეჭვი ეპარება, რომ ოცნების ხელში სამართალი იზეიმებს, გუშინ კი ამაში საბოლოოდ დარწმუნდნენ. მართალია, მეოცნებეები მთელი დღის მანძილზე ცდილობდნენ ვითარების მათკენ შემობრუნებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

მეოცნებეების მტკიცებით, გუშინ არაფერი განსაკუთრებული და მით უმეტეს ტრაგიკული არაფერი მომხდარა. მაგათ თუ მოუსმენს კაცი, კარგიც კი ყოფილა, ბაჩო ახალაია უდანაშაულოდ რომ ცნო სასამართლომ. ამით თურმე დამტკიცდა, რომ სასამართლო თავისუფალია.

დეპუტატ ლევან ბერძენიშვილის შეფასებით, ბაჩო ახალაიას მიმართ გამოტანილმა განაჩენმა დაადასტურა, რომ საქართველოში სასამართლო უკვე თავისუფალია.

— მე, როგორც პარლამენტის წევრი, მოსამართლის მიმართ კითხვებს ვერ დავსვამ, ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ დღევანდელმა გადაწყვეტილებამ დაამტკიცა, მოსამართლე დარახველიძის სახით საქართველოში სასამართლო პროკურატურისა და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელია. სასამართლო თავისუფალია და ესაა სერიოზული მიღწევა უკანასკნელი წლების განმავლობაში. მე არ მახსენდება ასეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობის საქმე, რომელთან მიმართებითაც მოსამართლეს ამ ტიპის გადაწყვეტილება გამოეტანოს. ასეთი რამ არ მომხდარა არც შევარდნაძის დროს და მით უმეტეს ვერ მოხდებოდა ვერც სააკაშვილის პერიოდში, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ლევან ბერძენიშვილმა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით არც დეპუტატი თინა ხიდაშელი გაოგნებულა. მისი თქმით, სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი არ ნიშნავს იმას, რომ ბაჩო ახალაია ანგელოზია. ეს მეტყველებს იმაზე, რომ მას პროკურატურამ ვერ დაუმტკიცა დანაშაული.

— სასამართლოს გადაწყვეტილების შეფასებისგან თავს ვიკავებ, რომ არ მოხდეს ის, რაც წლების განმავლობაში ხდებოდა. აქედან გამომდინარე, ორი რამ შემიძლია ვთქვა: თავისთავად, ის რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება მოხდა, დიდი პროგრესის მაჩვენებელია. როგორ წარმოგიდგენიათ, რომ სააკაშვილის საქართველოში ასეთი რამ გაებედა სასამართლოს? ეს ადასტურებს იმას, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობისკენ დიდი ნაბიჯებით მივდივართ, თუმცა, მეორე მხრივ ის, რომ ბაჩო ახალაიას მიმართ ასეთი ტიპის დანაშაულის დამტკიცება ვერ მოახერხა პროკურატურამ, ეს არ მეტყველებს იმაზე, რომ ბაჩო ახალაია ანგელოზია, ეს ნიშნავს იმას, რომ პროკურატურამ ვერ დაუმტკიცა დანაშაული, სასამართლოს კი მტკიცებულებების საფუძველზე გამოაქვს გადაწყვეტილება. სწორედ ამიტომ დადგა ეს გადაწყვეტილება. კარგია, როცა სასამართლო ამას ახერხებს, ცუდია, როცა პროკურატურა ვერ ახერხებს, დაამტკიცოს ბრალი ასეთი მძიმე მუხლით წაყენებული ბრალდების შემთხვევაში. არ ვიცი, პროკურატურაში კადრები სუსტია თუ ძლიერი, ამ პროკურორებს არ ვიცნობ, მაგრამ ერთი და იგივე ხალხია, ვინც ზურაბ ადეიშვილის პროკურატურაში მუშაობდა. ისინი მიჩვეულნი არიან ასე მუშაობას — არ სჭირდებოდათ რაიმე განსაკუთრებული ძალისხმევის განხორციელება, რომ ადამიანები ციხეში ჩაესვათ. როგორც ჩანს, მათ ჰგონიათ, რომ ბრალის დასამტკიცებლად და სასამართლოს გადაწყვეტილებისთვის საკმარისია მხოლოდ ის, რასაც პროკურორი იტყვის. როგორც ჩანს, ჰგონიათ, რომ ახლაც იგივე იქნება. მომწონს თუ არა აღნიშნული გადაწყვეტილება და რა დამოკიდებულებაც არ უნდა მქონდეს ბაჩო ახალაიასადმი, ვფიქრობ, რომ მისი განაჩენი ერთგვარი გაღვიძების სიგნალი შეიძლება იყოს იმ ადამიანებისთვის, ვინც ვერ გაიგო, რომ სხვა საქართველოში ვცხოვრობთ. იმედია, მომავალში უფრო მომზადებულები გამოცხადდებიან პროცესებზე, განსაკუთრებით კი ისეთ საქმეებთან მიმართებით, რომელიც წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას ეხება. ასეთ საქმეებს განსაკუთრებით მომზადება სჭირდება, რადგან ეს არ არის ჩვეულებრივი დანაშაული, ესაა საერთაშორისო სამართლით აღიარებული დანაშაული, უმძიმესი დანაშაული, რომელსაც განსაკუთრებული მტკიცება სჭირდება, — აცხადებს ხიდაშელი.

საქართველოს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, ახალაიასთან დაკავშირებული სასამართლოს განაჩენით დადასტურდა ერთი მარტივი რამ — სასამართლო არის რეალურად პროკურორებისგან თავისუფალი.

წულუკიანის თქმით, პროცესი არ დასრულებულა, საქართველოში არსებობენ პირველი ინსტანციის ზემდგომი მოსამართლეები, რომლებიც იმიტომ არიან ზემდგომი მოსამართლეები, რომ წესით უფრო მეტი კომპეტენცია და გამოცდილება აქვთ.

— პროკურატურა გააორმაგებს თავის ძალისხმევას. ჩემთვის რამდენადაც ცნობილია, საქმის მასალებში არის გამოძიების დროს მოპოვებული არაერთი მტკიცებულება ბრალის შესახებ, პროკურატურა გაორმაგებული ძალისხმევით თუ გადაწყვეტს და, მე როგორც ვიცი, გადაწყვეტენ განაჩენის გასაჩივრებას მეორე ინსტანციაში, კიდევ უფრო მეტი შემართებით და ძალისხმევით დაუჭერენ ბრალდებას მხარს. ამ განაჩენით დადასტურდა ერთი მარტივი რამ, რასაც ბევრჯერ ვამბობდი და რასაც ჩვენი მთავრობა არაერთხელ ამბობდა — სასამართლო არის რეალურად პროკურორებისგან თავისუფალი. მთავარი არის ერთი რამ, დიახ, სასამართლო არის თავისუფალი და დიახ, ჯერ პროცესი არ დასრულებულა. ამიტომ ის პირველი უარყოფითი რეაქცია, გაუგებრობის განცდა, რაც საზოგადოებას, მათ შორის შეიძლება მეც მქონდეს განაჩენისადმი, ამას ნუ ავყვებით, რადგან პროცესი გრძელდება, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

სასამართლოს გადაწყვეტილება მეოცნებე პოლიტიკოსების უმეტესობამ ასე შეაფასა. „ქართული ოცნება“ გუშინ ბედნიერი იყო იმით, რომ სასამართლო თავისუფალია. მეოცნებეებისაგან განსხვავებული პოზიცია აქვს მოსახლეობას. ახალაიას მისამართით გამოტანილი განაჩენით ხალხი აღშფოთებულია. ამასთან, ვრცელდება სხვადასხვა მოსაზრებებიც. უკვე დიდი ხანია საუბრობენ, რომ საოცნებო ხელისუფლება ბაჩო ახალაიას გაურიგდა. პრესაში არაერთხელ დაიწერა, რომ ბაჩანასთან ციხეში ხშირად დადიან პროკურატურის მაღალჩინოსნები. სამეგრელოში აღმოჩენილი სამალავებიც ახალაიას სახელს დაუკავშირეს. რაც ამ უკანასკნელმა კატეგორიულად უარყო.

თუმცა ბოლო დროს მეოცნებეები ახალაიებზე აშკარად მოკრძალებულად საუბრობენ. გია ხუხაშვილმა მათ რეჟიმის მსხვერპლის წოდებაც კი მიანიჭა. აქედან გამომდინარე, სავსებით რეალურია, თუ ახალაია მალე გამოვა თავისუფლებაზე. ამის სანაცვლოდ ალბათ გამოძიებასთან ითანამშრომლებს.

ყოფილი მინისტრი ჯერ ისევ პატიმრობაში რჩება და ახლა სხვა ეპიზოდებში მოუწევს თავისი უდანაშაულობის დამტკიცება. თუ იქაც გამართლდა, არაფერია, ოცნება გვეტყვის, რომ სასამართლო თავისუფალია.

არის თუ არა სასამართლო თავისუფალი, ეს თავად უბედურმა თემიდამაც არ იცის. ასეთი განცხადებებით და დამოკიდებულებით მეოცნებეები თავს შავ დღეში იგდებენ. მათი რეიტინგი ისედაც ქვევით მიცოცავს და გუშინდელი დღე კიდევ უფრო დაშწევს მათ პოპულარობას.

წესით და რიგით, ეს კოალიციას არ უნდა აწყობდეს. სხვა თუ არაფერი, წინ საპრეზიდენტო არჩევნებია. მეოცნებეებს კი სჯერათ, რომ არჩევნები უკვე მოგებული აქვთ, მაგრამ არც ასეა საქმე.

ექსპერტების დიდი ნაწილი ვარაუდობს, რომ პრეზიდენტის გამოსავლენად მეორე ტურის დანიშვნა გახდება საჭირო. ოცნებამ თუ ასე გააგრძელა, დიდი შანსია, გამარჯვებული პირველივე ტურში გამოვლინდეს და ის მათი კანდიდატი არ იქნება.

ოცნების რეიტინგზე მომაკვდინებლად მოქმედებს ბიძინა ივანიშვილის განცხადებებიც. ეს უკანასკნელი თვეგამოშვებით გაიძახის, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მივდივარო.

არჩევნების წინ დანაპირებიდან ბევრი რამ არ შესრულებულა. სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად კი ხალხს კოჰაბიტაცია შეაჩეჩეს და, თუ ასე გაგრძელდა, დიდი შანსია, კოალიცია „ქართული ოცნების“ ადგილზე ოცნებების სასაფლაო ვიხილოთ.

შესაძლოა, არც ასეა საქმე და ოცნება და თემიდა ერთ დიდ თამაშში მონაწილეობენ. დასავლეთი კარგა ხანია ჩვენგან თავისუფალ სასამართლოს მოითხოვს. ჰოდა გუშინ მთელი ოცნება და ნაცმოძი სასამართლოს თავისუფლებაზე ღაღადებდა.

# დავით უსუფაშვილი: „3 თვეც ავიტანოთ სააკაშვილი და მერე ყველაფერი დალაგდება“

შორენა მარსაგიშვილი

ქვეყანაში ნამდვილი პოლიტიკური პაპანაქებაა. სააკაშვილი და მისი ნაცმოძი „ქართულ ოცნებას“ მართლა შავ დღეში ატარებენ. მართალია, მათ არჩევნები წააგეს, მაგრამ სხვა დანარჩენში ყველაფერში ჯაბნიან მეოცნებეებს. ეს არც არის გასაკვირი, 9 წლის განმავლობაში ინტრიგების დახლართვა და შავი პიარის აგორება კარგად „დაამუღამეს“. ერთადერთი, რაც სააკაშვილს არ გამოსდის, ვეტოს დადებაა. მის მიერ დადებულ ვეტოს პარლამენტი იოლად ამარცხებს.

ვეტოებში დამარცხებულმა პრეზიდენტმა ახლა სხვანაირად შეუტია ოცნებას. რამდენიმე დღის წინ მან თენგიზ გუნავა შეიწყალა. ამ შეწყალებას დიდი ალიაქოთი მოჰყვა საზიძინეთში. მეოცნებეები „გვამშვიდებენ“, რომ პრეზიდენტისგან სხვა რამეებსაც უნდა ველოდოთ. სააკაშვილისაგან რომ ყველაფერია მოსალოდნელი, ერმა მათ გარეშეც უკეთ იცის.

სააკაშვილს 20 წელია იცნობს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი. მისი თქმით, პრეზიდენტი, როგორც ყოველთვის, ახლაც არაპროგნოზირებადია. პარლამენტის თავმჯდომარე მოთმინებისკენ მოგვიწოდებს და სამთვიან გაძლებას გვისურვებს.

— სააკაშვილს 1993 წლიდან ვიცნობ. როგორიც იყო თავიდან, ასეთივეა ახლა. მისი პროგნოზირება შეუძლებელია. ყველაფრისთვის მზად უნდა იყო მასთან ურთიერთობაში, ზოგჯერ, კარგისთვისაც. ვნახოთ. ამ გადაწყვეტილებით ერთი რამ დადასტურდა მხოლოდ, რომ გვყავს პრეზიდენტი, რომელიც მომეტებული საფრთხის წყაროა, რომელსაც კონსტიტუცია და კანონები რაღაც უფლებებს აძლევს. ის ვერასდროს ეტეოდა თავის უფლებებში და ახლაც ამის დემონსტრირებას ახდენს, იმიტომ, რომ გუნავას შეწყალების გადაწყვეტილების თაობაზე უკვე ბევრი ითქვა და იქ სერიოზული ხარვეზებია. სამი თვე კიდევ უნდა ავიტანოთ და მერე ყველაფერი დალაგდება, — განაცხადა „მე-9 არხთან“ საუბარში დავით უსუფაშვილმა.

პარლამენტის სპიკერი სამართლიანობის აღდგენის პროცესს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ამის მიუხედავად, მიაჩნია, რომ ხელისუფლებამ ეკონომიკის განვითარებაზე უფრო მეტი უნდა იფიქროს.

— 9 თვეზე მეტი გავიდა უკვე არჩევნების შემდეგ, რაც ხელისუფლებამ აიღო პასუხისმგებლობა ამ თემებზე. 9 თვის განმავლობაში ჩვენ კეთილი უნდა ვინებოთ და ამისთვის სულ ცოტაღა დარჩა, ან გამოვიძიოთ, რაც გამოსაძიებელია ან გავჩერდეთ და გავაგრძელოთ ცხოვრება წინ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი უნდა შეჩერდეს, მაგრამ მმართველმა გუნდმა ეკონომიკურ გეგმებში მეტი სიცხადე უნდა შეიტანოს. ადამიანები თუ იქნებიან მუდმივი დაძაბულობის ქვეშ, ჩვენ ვერასოდეს ვერანაირ სამართლიანობას ვერ აღვადგენთ. უყურეთ, მე რას ვამბობ: 9 თვე (და, კი ბატონო, ერთი წელი, ჯერ დარჩენილია რამდენიმე თვე) არის საკმარისი იმისთვის, რომ ჩვენ ჩამოვყალიბდეთ: რა პასუხს ვაძლევთ იმ კონკრეტულ საკითხზე ადამიანებს, რომლებიც ამბობენ, რომ მათი კერძო საკუთრება იქნა შელახული. ახლა ის კერძო საკუთრება ხომ ვიღაცის ხელშია. ის ვიღაცა დგას და ელოდება, რა იქნება: წამართმევენ, დამიტოვებენ და რაღაც ჯარიმას დამადებენ, თუ საერთოდ ხელს არ მახლებენ. ხომ არ აორთქლებულა ის სადავო საკითხები, რაც ბიზნესს ეხება, მიწას, ჯიხურს, აბანოს, კერძო სახლს, თუ ტელეკომპანიებს... ჩვენ უნდა ჩამოვყალიბდეთ და მკაფიოდ ვუთხრათ ყველას, რომ, აი, ეს იქნება. ყველაზე დამღუპველი, არასასურველი ბიზნესისთვის და ინვესტორისთვის არის გაურკვევლობა. თუ 6 თვე ვილაპარაკებთ, გადასახადი ავწიოთ თუ დავწიოთ, ხალხი ზის და გველოდება. თუ გადავდგამთ ნაბიჯს და ავწევთ, მერე იციან, რომ აიწია, ან დაიწია და იმის შესაბამისად იწყებს დაგეგმვას. ამიტომ მეტი სიცხადე უნდა შევიტანოთ ჩვენს კონკრეტულ ეკონომიკურ გეგმებში. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ სექტემბერში დაიდება ძალიან კომპლექსური და დეტალური გეგმა, — განაცხადა პარლამენტის სპიკერმა.



ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა სახარბიელო ნამდვილად არ არის. 31 ივლისს საქსტატმა გამოაქვეყნა მონაცემები, რომლის მიხედვითაც ეკონომიკის ზრდა ივნისში კიდევ უფრო შემცირდა და -0.8% შეადგინა.

დავით უსუფაშვილმა „მე-9 არხის“ ეთერში განაცხადა, რომ განგაშისა და შეშფოთების საფუძველი არ არსებობს. ამის მიუხედავად, გარკვეული კითხვები მასაც აქვს, რადგან ალბათ შეიძლებოდა იმ ფაქტორების უკეთ პროგნოზირება, რომელმაც ციფრობრივ მაჩვენებელში დღევანდელი მდგომარეობა განაპირობა.

— რაც შეეხება ეკონომიკას, ეს ძალიან მნიშვნელოვანი და კომპლექსური თემაა. დღევანდელი მდგომარეობა საქართველოს ეკონომიკის არ არის ერთი კონკრეტული მიზეზის შედეგი. მიზეზი არის ბევრი. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიშით, საქართველოს ეკონომიკის ვარდნა დაიწყო არა წელს, არამედ შარშან, ზაფხულიდან. ასე რომ, ხელისუფლების შეცვლამდე ეს უკვე ტენდენცია იყო. საქართველოში წლების განმავლობაში დამკვიდრებული იყო ერთი ტიპის ეკონომიკური სისტემა, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ქვეყანაში ბევრი რამ იცვლება სისტემურად და მათ შორის ის დამკვიდრებული პრაქტიკა, როგორც საქართველოში ეკონომიკა ფუნქციონირებდა, იქნებოდა ეს სახელმწიფო ხარჯების გაღება თუ კერძო ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა. ნებისმიერ ასეთ ცვლილებას, ცხადია, ახლავს ხოლმე გარკვეული პერიოდი, როდესაც პროცესის ძირითადი მონაწილენი უნდა გადაეწყონ ახალ სისტემაზე. ბიზნესმენებმა უნდა დაიჯერონ, რომ ე.წ. „კრიშა“ აღარ არის საჭირო იმისათვის, რომ გაწიონ რისკი და გაიღონ ინვესტიცია. კერძო სტრუქტურებმა უნდა ირწმუნონ, რომ სამართლის საძიებლად სასამართლოში უნდა წაბრძანდნენ და არა სხვაგან. იმ კომპანიებმა, რომლებიც პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ და წლების განმავლობაში სახელმწიფო დაკვეთებს სრულიად უკონკურენტოდ იღებდნენ, გააკეთეს სისტემა და სტრუქტურები, დღეს მათ ეს პრივილეგია დაკარგეს, ახლა უწევთ კონკურენტულ გარემოში გადასვლა. ამ დროს რა ხდება, ვისაც სისტემა და სქემა ჰქონდა აწყობილი არასწორი ბიზნესის, ის რჩება გარეთ ამ ურთიერთობებში და ახლებს შემოსვლისთვის სჭირდებათ გარკვეული პერიოდი და ადაპტაცია, — აცხადებს დავით უსუფაშვილი.

მისივე თქმით, კიდევ ერთი სერიოზული მიზეზი ის არის, რომ ეკონომიკა და ზოგადად ბიზნესურთიერთობები დამყარებულია მომავლის პროგნოზზე და არა გუშინდელ დღეზე ან დღევანდელ ვითარებაზე:

— ვინაიდან პოლიტიკაში სტაბილურობის თაობაზე ინერგებოდა ის განცდა, რომ ეს დროებითი ამბავია, ეს ხელისუფლება მოვიდა, მაგრამ ხვალ წავა, რაღაც მოხდება, ასე იქნება, ისე იქნება, ამან, რა თქმა უნდა, ბევრი შფოთი გამოიწვია ბიზნესწრეებში. სწორედ ამიტომ ახალმა მთავრობამ და მისმა ხელმძღვანელმა, პრემიერმა ივანიშვილმა სრულიად ღიად განუცხადა ქართველ ხალხს ჯერ კიდევ შარშან: ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ პირველი წელი იქნება მძიმე... სიმძიმეს განაპირობებს სწორედ იმ სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება, რომლის გარეშე ჩვენ ვიყავით არჩევანის წინაშე: უნდა გაგვეგრძელებინა წინა ხელისუფლების ნაცადი ხერხი, რომელსაც რა მოჰქონდა? ციფრებით ეკონომიკა იზრდებოდა, მაგრამ ეს ზრდა გავლენას ახდენდა ჩვენი მოსახლეობის 5-6%-ის კეთილდღეობაზე, 95 პროცენტს არც 6-პროცენტიანი ზრდის ეტყობოდა რამე და არც ბიუჯეტის გაოთხმაგება-გაექვსმაგების. ანუ ის სისტემა, რომელიც მორგებული იყო ელიტარული ბიზნესის და ელიტური ფენების კეთილდღეობაზე, ჩვენ უნდა შევცვალოთ და ვცვლით ზოგადად მოსახლეობის კეთილდღეობის სისტემისკენ. ეს განცხადება არ ნიშნავს იმას, რომ კითხვები არ მაქვს, — განაცხადა პარლამენტის თავკაცმა.

უსუფაშვილმა კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ არსებულ ვითარებაზეც ისაუბრა და კობა დავითაშვილის განცხადებაც შეაფასა. დავითაშვილის განცხადებით, კოალიციაში აზრთა სხვადასხვაობაა.

— კობა დავითაშვილი ცალკე მოვლენაა. ძალიან ადვილია, პოლიტიკოსმა მოიწყო ასე ცხოვრება. კობა ერთი კაცია — პარტია თვითონ არის, დილით გადაწყვეტილებას იღებს, საღამოს აღასრულებს და მარტივია ცხოვრება, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ სახელმწიფო ხელისუფლება ესაა ერთი გუნდი და იმ გუნდში ხშირადაა მწვავე კამათი. ესაა საგნობრივი, ესაა კონკრეტულ საკითხებზე დაფუძნებული კამათი, ეს არის იმ მოცემულობიდან გამომდინარეც, რომ ბიძინა ივანიშვილის პარტიას, რომელიც პროცესში იქმნებოდა და რომელიც კოალიციაში წამყვანი დომინანტი ძალაა, მეტი დრო სჭირდება რათა ერთიანი ხედვის პარტიად ჩამოყალიბდეს. ამიტომ შესაძლოა ისე მარტივი არ იყოს ამ პარტიასთან თანამშრომლობა, როგორც, მაგალითად, კონსერვატორებთან, თუმცა, საერთო ჯამში, ყველაფერი ნორმის ფარგლებშია. დარწმუნებული ვარ და მჯერა, პასუხისმგებლობა ყველას იმდენად დიდი გვაქვს, რომ გადავლახავთ ამ ყველაფერს. „რესპუბლიკელები“ რასაც ვიტანთ და ავიტანთ, ყველას ვთხოვთ, იმის ნახევარი აიტანოს, — განაცხადა უსუფაშვილმა.

# პრეზიდენტმა გიგი კალანდაძეს ბრალის მოხსნა მიულოცა

საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, გენერალ გიგი კალანდაძეს საკუთარ რეზიდენციაში უმასპინძლა და სასამართლოს მიერ მის მიმართ დღეს გამოტანილი გადაწყვეტილება მიულოცა.



,,მინდა მოგილოცოთ გამართლება. მე დარწმუნებული ვიყავი რომ თქვენ სრულიად უდანაშაულო იყავით და მე ამის შესახებ 9 თვის წინაც განვაცხადე.

ძალიან სამწუხაროა, რომ 9 თვის განმავლობაში, თქვენნაირი ადამიანები, თქვენნაირი პატრიოტები და ის ადამიანები, რომლებიც დღეს თქვენთან ერთად გაამართლეს, თავის დროს ფუჭად ხარჯავდნენ. აცდენდნენ დროს ზუსტად მაშინ, როცა ყველაზე ძალიან გვჭირდებოდნენ. მაშინ როცა საქართველოს არ ყავს არცერთი დასაკარგი კადრი , არცერთი დასაკარგი ოფიცერი და გენერალი.“– განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა

შეგახსნებთ, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ბაჩო ახალაიას მიმართ, სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი 3 ეპიზოდთან დაკავშირებით გამოიტანა.

ახალაიასთან ერთად, ამ საქმეზე ბრალდებული იყო კიდევ 7 პირი, მათ შორის გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსი გიგი კალანდაძე.

**ნიუსპრესი**

# ნინო ბურჯანაძე: „ნაციონალური მოძრაობის მიერ გატანილი მილიარდები ხალხს უნდა დაუბრუნდეს“



„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერისა და პრეზიდენტობის კანდიდატის, ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება აუცილებელია, თუმცა, „ქართული ოცნების“ კოალიციაში შემავალ აბსოლუტურ უმრავლესობას, ბარიერის გადალახვის შანსი არ აქვს და აღნიშნულ პროცესსაც სწორედ ამიტომ ეწინააღმდეგებიან.

„საფლავში ჩაგდებული და მიწამიყრილი „ნაციონალური მოძრაობა“ „ქართულმა ოცნებამ“ ამოიყვანა და ახლა გამაღლებულები ცდილლობენ მის გარეცხვას. ხალხს ისინი ამის გამო არ აურჩევია.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ ქვეყნიდან მილიარდობით ლარი და დოლარი გაიტანა. ის, რომ ქვეყანაში ელიტარული კორუფცია იყო, ამის შესახებ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნაშიც იყო ნათქვამი. ეს ფული ხალხს უნდა დაუბრუნდეს“ – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ ეთერში.

პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, ნინო ბურჯანაძე, ბიძინა ივანიშვილთან და მის მთავრობასთან თანამშრომლობას აპირებს. ამის შესახებ, „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა და პრეზიდენტობის კანდიდატმა, ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ ეთერში, განაცხადა.

„პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილთან და მთავრობასთან, ოპონირების, მაგრამ კონსტრუქციული თანამშრომლობის რეჟიმში ვიქნებით და იმედია ისინი სამართლიან კრიტიკას სწორად მიიღებენ და გაიგებენ“ – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მანვე, პრემიერის მიერ, მისი ხელისუფლებიდან წასვლის შესახებ გაკეთებულ განცხადებაზეც გააკეთა კომენტარი.

„ახლა, როცა ბიძინა ივანიშვილი წასვლის შესახებ აკეთებს განცხადებებს, მთავრობის კონფიგურაცია ასე გამოიყურება: პრეზიდენტი – გიორგი მარგველაშვილი, პრემიერი – სავარაუდოდ, გიორგი კვირიკაშვილი და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი. მე არა მგონია, საქართველოს მოსახლეობას ქვეყნის სამართავად ეს კომბინაცია უნდოდეს.

თითეულ მათგანს თავისი პლუსები აქვს, მაგრამ ეს ნამდვილად არ იქნება ის სამეული, რომელსაც შეუძლია, ძალიან მძიმე ვითარებაში, ქვეყანა ფონს გაიყვანოს და „ნაციონალურ მოძრაობას“ გაუმკლავდეს. კარგად შევხედოთ რა რეალობის წინაშე ვდგავართ. ამ სამეულის შემთხვევაში, თუნდაც სახეშეცვლილი, მაგრამ ხელისუფლებაში ახალი „ნაციონალური მოძრაობა“ მოგვევლინება და „ქართული ოცნებიდან“ არაფერი აღარ დარჩება.

ამიტომ, პრემიერის მხრიდან ასეთი განცხადებების გაკეთება ქვეყანას სერიოზული საფრთხის წინაშე აყენებს“ – განაცხადა ბურჯანაძემ.

**ნიუსპრესი**

# ირაკლი ღარიბაშვილმა აზერბაიჯანის საგანგებო სიტუაციების მინისტრი მიიღო



შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, გუშინ აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო სიტუაციების მინისტრ ქემალედინ გეიდაროვს შეხვდა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრისას, „საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების, შეზღუდვის და შემსუბუქების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებას მოეწერა ხელი.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის დელეგაციის ოფიციალური, საპასუხო, ორდღიანი ვიზიტი საქართველოში, აზერბაიჯანის საგანგებო სიტუაციების მინისტრ გენერალ-პოლკოვნიკ ქემალედინ გეიდაროვის ხელმძღვანელობით, დღეს დაიწყო.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს კრიზისული სიტუაციების მართვის ცენტრის და სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის უფროსები, აგრეთვე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის და საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენლები.

ვიზიტის ფარგლებში, ასევე დაგეგმილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის საწვრთნელი ბაზის დათვალიერება და საჩვენებელი ღონისძიება. სტუმრები, გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-საც ეწვევიან. ვიზიტის ფარგლებში, აზერბაიჯანის რესპუბლიკის დელეგაცია ბათუმშიც გაემგზავრება.

**ნიუსპრესი**


# ახალი როუმინგული მომსახურება —„მოგზაური“ უცხოეთში მყოფ აბონენტებს სატელეფონო ხარჯს საგრძნობლად გაუიაფებს



თუ თქვენ გადაწყვიტეთ იმოგზაუროთ და თქვენთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, თქვენივე მობილური ტელეფონის ნომრიდან უწყვეტად შეინარჩუნოთ კავშირი ახლობლებსა თუ საქმიან პარტნიორებთან, თამამად შეგიძლიათ, ისარგებლოთ მაგთიკომის მიერ შემოთავაზებული როუმინგული მომსახურებით. ახალი როუმინგული მომსახურება – „მოგზაური" უცხოეთში მყოფ აბონენტებს სატელეფონო ხარჯს საგრძნობლად გაუიაფებს. ამ მომსახურებით სარგებლობა შეუძლიათ მაგთის ბანისა და ბალის წინასწარი გადახდის სისტემის ყველა აბონენტს. სერვისით ვერ ისარგებლებენ მაგთის კორპორაციული და სამთავრობო ქსელის აბონენტები. მომსახურების ჩართვა კი უფასო და ძლიერ მარტივია აკრიფე ***123# OK** და ისარგებლე ყველა შეღავათით.

**კომპანია „მაგთიკომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი, ნინო სურგულაძე:** მობილურ ოპერატორებს აქვთ სტანდარტული როუმინგული მომსახურება. იგი ითვალისწინებს სადეპოზიტო თანხის განთავსებას და ტარიფები ქვეყნების მიხედვით განსხვავდება. ის როუმერ პარტნიორი კომპანიის მიერ შემოთავაზებულ ფასზეა დამოკიდებული. სერვისი „მოგზაური“ – სტანდარტული როუმინგის პარალელურად დავნერგეთ. ის ინოვაციური მომსახურებაა – ზარის განხორციელება სტანდარტულისგან მცირედ განსხვავდება, რადგან ტექნოლოგიურად სხვა პრინციპით ხორციელდება. შედეგად კი უცხოეთში მყოფი მომხმარებელი იღებს საგრძნობლად შეღავათიან ტარიფებს.

***–„მოგზაურის“ შემთხვევაში კონკრეტულად რა იცვლება როუმინგით მოსარგებლე აბონენტისთვის და რომელ ქვეყნებთანაა შესაძლებელი ამ მომსახურების გამოყენება?***

– ამ სერვისით სარგებლობისას „მაგთის“, „ბანისა“ და „ბალის“ აბონენტებისთვის საჭირო არ არის დეპოზიტზე თანხის არსებობა. მათ საშუალება ეძლევათ ისარგებლონ შეღავათიანი ტარიფით, რა თქმა უნდა არ სჭირდებათ ნომრის შეცვლა, არც ოფისში მისვლა...

მომსახურების გამოყენება კი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაშია შესაძლებელი. შემავალი ზარის ფასი 10 თეთრია, ხოლო გამომავალის 30 თეთრიდან.

***– რა უკუგებას ელოდება კომპანია ახალი სერვისის გააქტიურების შედეგად?***

–„მაგთიკომი“, როგორც მომხმარებლის კმაყოფილებაზე ორიენტირებული კომპანია, ყოველთვის ცდილობს მაქსიმალურად გაითვალისწინოს მომხმარებლის მოთხოვნილებები, ინტერესები და საჭიროებები. შესაბამისად, იაფი როუმინგის გააქტიურებით უპირველესად აბონენტთა კმაყოფილებას ელის. კომპანიისთვის ეს ყოველთვის მთავარი პრიორიტეტია.

ჩვენ მუდმივ რეჟიმში ვსწავლობთ ბაზარს, ვცდილობთ ზუსტად განვსაზღვროთ, თუ რომელი მოთხოვნადი სერვისები არ არის ქართულ ბაზარზე. შემდეგ ვზრუნავთ, რომ პირველებმა შევთავაზოთ ისინი მომხმარებელს.

***– „მაგთიკომი“ ბაზარზე ყველაზე დაბალი ტარიფების შეთავაზებით გამოირჩევა, რამდენად აისახა ასეთი ლიბერალური პოლიტიკა აბონენტების მაჩვენებლის ზრდაზე?***

– ვფიქრობთ, ტარიფების მხრივ „მაგთიკომი“ ყველაზე მრავალფეროვანი არჩევანის საშუალებას იძლევა, არა მხოლოდ ბრენდების ( „მაგთიკომი“ მობილურ ბაზარზე წარმოდგენილია 3 ბრენდით: „მაგთი“, „ბანი“, „ბალი“) არამედ სატარიფო გეგმების კუთხითაც. ეს კი მომხმარებელს საშუალებას აძლევს, იოლად მოუძებნოს შესაბამისი სატარიფო გეგმა თავის ინტერესებსა და ცხოვრების წესს.

მაგთიკომის საუკეთესო ქსელს, დაფარვის ფართო არეალსა და მაგთის ხარისხს 2.8 მილიონზე მეტი აბონენტი ირჩევს: როგორც სანდო, საიმედო და შეუფერხებელი კავშირის გარანტიას.

ამასთანავე, დღეისთვის „მაგთიკომი“ ერთადერთი კომპანიაა საქართველოში, რომელსაც შეუძლია მომხმარებლებს ერთდროულად შესთავაზოს მობილური და ფიქსირებული ტელეფონი, ინტერნეტი და თანამგზავრული სატელევიზიო მაუწყებელი. ეს მომხმარებლის რიცხვს დღითი-დღე ზრდის.

***– ზოგადად რამდენად პოპულარულია როუმინგ მომსახურება, ან უფრო იაფი ხომ არ არის იმ ქვეყნის სიმ ბარათის აღება სადაც ჩადის მომხმარებელი?***

– ცხადია, როუმინგი ძლიერ მოთხოვნადია. ხშირია ადგილობრივი სიმის გამოყენებაც. „მოგზაურის“ მოხმარებისას არ გიწევს საკუთარი ნომრის შეცვლა და საქმიანი ადამიანებისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. სარგებლობ საკუთარი ნომრით და საგრძნობი შეღავათებით. თან სერვისის ჩართვაც უფასოა: ***123# OK**

არც დეპოზიტი მოითხოვება. მისი შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობისთვის დარეკვის წესი შემდეგია:

***– საქართველოში მობილურ ქსელებზე: *123* ადრესატის 9-ნიშნა ნომერი # OK.***

***– საქართველოში ფიქსირებულ ნომრებზე: *123*0 ადრესატის ნომერი # OK.***

***– უცხოურ ნომრებზე *123*00 ნომერი # OK.***

კიდევ უფრო მეტი ინფორმაციისთვის მომხმარებელს შეუძლია იხილოს „მაგთიკომის“ ვებ გვერდი: www.magticom.ge

– კიდევ რა სიახლეებს უნდა ველოდეთ კომპანიისგან?

დასასვენებლად ყველაზე აქტიურ საზაფხულო სეზონს თუ გავითვალისწინებთ მნიშვნელოვნად შეღავათიანი როუმინგული ტარიფების შეთავაზება ვფიქრობთ სასიამოვნო საჩუქარი იქნება მაგთიკომის მომხმარებლებისთვის.

მაგთიკომში მომავალშიც გააგრძელებს დროისა და მოთხოვნის ადექვატური ინოვაციური მომსახურებების შეთავაზებას.

# თენგიზ დიხამინჯია: „კონსტიტუცია არავის არ უნდა მოვარგოთ"

გულიკო ბალაძე

ცოტა ხნის წინ პარლამენტის ყოფილმა წევრებმა შექმნეს „საკონსტიტუციო კონგრესი" და გამოვიდნენ საკონსტიტუციო ინიციატივით, რომელიც მიზნად ისახავს ახალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავებასა და საზოგადოებისთვის შეთავაზებას საჯარო განხილვისთვის პარლამენტში წარსადგენად. გვესაუბრება „საკონსტიტუციო კონგრესისა" და კონსტიტუციის ახალი პროექტის შემუშავების ინიციატორი, უზენაესი საბჭოს დეპუტატი თენგიზ დიხამინჯია.

— დღეს ქვეყანაში ყველანაირი კრიზისია. ამ ქვეყნის უბედურების სათავე, ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი უბედურებისა არის საქართველოში საკონსტიტუციო გადატრიალებები და შემდგომი კონსტიტუციური განუკითხაობა, რაც, ფაქტობრივად, ერთ რეჟიმზე, ერთ პერსონაზე, კონსტიტუციის შემქმნელებზე იყო მორგებული, მაგრამ არა ქვეყნის ინტერესებსა და ეროვნულ სხეულზე. ამის გამო მივიღეთ დამახინჯებული კონსტიტუცია, რომელიც ვერანაირად ვერ ასახავს ქვეყნის ინტერესებს. სანამ კონსტიტუცია ეროვნულ სხეულს არ მოერგება, მანამ იქნება გაუთავებელი დავა და კრიზისი. არსებული კონსტიტუციური განუკითხაობა რომ შეწყდეს, საჭიროა ერი შეთანხმდეს უმთავრეს საკითხებზე, თუ რა სჭირდება მას, ფუნდამენტური, ძირეული, — აცხადებს თენგიზ დიხამინჯია.

— როგორ უნდა მოხდეს ეს?

— ეს უნდა მოხდეს ეროვნული თანხმობის საფუძველზე. ერი უნდა შეიკრას და ჩამოყალიბდეს, რა სურს. საერთოდ, ხელისუფლების წყაროა ხალხი და ხალხი ქმნის თავის კონსტიტუციას. კონსტიტუცია არის ეროვნული თვითიდენტიფიკაციის ანუ ეროვნული და სულიერი ცნობიერებისა და ეროვნული სხეულის ურთიერთკავშირი, ასახული კანონებში, რომელიც ცივილიზებული სამყაროსთვისაა წარმოდგენილი და გარე სამყაროსთან შედის კონტაქტში. „საკონსტიტუციო კონგრესმა" უნდა მოამზადოს კონსტიტუციის პროექტი საჯარო განხილვისთვის.

— ნაციონალური მოძრაობის დროს სახელმწიფო კომისიამ მოამზადა კონსტიტუციის პროექტი, რომელიც მიიღო მაშინდელმა პარლამენტმა. პარალელურად საზოგადოებრივმა კომისიამ ასევე მოამზადა კონსტიტუციის პროექტი. არც ერთი არ ვარგა?

— არც ერთი პროექტი არ შეესაბამება ქართველი ერის ინტერესებს, მის შინაგან კონსტიტუციას. შესამუშავებელია ძირეულად განახლებული კონსტიტუციის პროექტი, რომელიც რეალურ ეროვნულ თანხმობასა და ერის ნებაზე იქნება დამყარებული. ამიტომ პარლამენტარების ჯგუფი, რომელშიც შედიან უზენაესი საბჭოს დეპუტატები (ვინც აღადგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა) და 1992-95 წლის პარლამენტის წევრები (ვინც კონსტიტუცია მიიღო), იმუშავებს ახალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავებაზე. კონსტიტუციის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობას მიიღებენ მეცნიერები, იურისტები, კონსტიტუციონალისტები. შემდგომი წლების პარლამენტის წევრებიც შემოდიან. ჩვენი კარი ღიაა. ეს არ არის ჩაკეტილი სისტემა. ჩვენ გვინდა, შემოგვიერთდნენ ის ადამიანები. ოღონდ, მკაცრად გვაქვს განსაზღვრული პოსტულატები და ის სტრატეგიული საკითხები, რომელთა მიუღებლობის შემთხვევაში კონსტიტუცია დამახინჯდება. მიუხედავად იმისა, ცოტა ხნის წინ შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ახალი კონსტიტუციის პროექტი. მათ „სასტუმრო „რედისონში" გამართეს კიდეც შეხვედრა, რომელსაც დავით უსუფაშვილი ხელმძღვანელობდა, ხუთი კაცი იყო უმრავლესობიდან, 5 — უმცირესობიდან, რამდენიმე — არასამთავრობო ორგანიზაციებიდან და თსუ-დან. 20– კაციანი შემადგენლობაა. მიგვაჩნია, რომ ჩვენ უნდა შევიმუშაოთ კონსტიტუციის ის პროექტი, რომელიც მოერგება ჩვენი ქვეყნის ეროვნულ სხეულს.

— რატომ ფიქრობთ, რომ აღნიშნული კომისია ნორმალურ საკონსტიტუციო პროექტს ვერ შეიმუშავებს?



— წინასწარ ცოტა რთული სათქმელია, კონსტიტუციის როგორ პროექტს შეიმუშავებს აღნიშნული სახელმწიფო კომისია. მე ჩვენს ხედვებსა და იმაზე მოგახსენებთ, რა შეცდომები იქნა დაშვებული უკვე ამ კომისიის მხრიდან. მთავარი შეცდომა ისაა, რომ ეს ჯგუფი კონსტიტუციას მთლიანობაში არ განიხილავს. ჯერჯერობით შემოიტანა სამი ცვლილება, რომელსაც პარლამენტს სექტემბერში წარუდგენენ. ეს საკითხებია ორმაგი მოქალაქეობა, მინისტრთა კაბინეტის დამტკიცებისთვის კვორუმის დაწევა და ორმაგი მოქალაქეობის საკითხი.

— აღნიშნული კომისია რატომ არ უნდა მუშაობდეს კონსტიტუციის მთლიანი პროექტის შემუშავებაზე?

— საქმეც ისაა, რომ კონტექსტიდან ამოგლეჯილად ხდება საკონსტიტუციო საკითხების განხილვა. ქვეყანას აქვს თავისი პრობლემები. ამიტომ უნდა განისაზღვროს, ყველაზე მეტად სად უჭირს ქვეყანას, სად არის აქილევსის ქუსლი და პრობლემების კლასიფიკაცია წარმოადგინოს. ჩვენი ხედვით, ქვეყნის უპირველესი პრობლემებია აფხაზეთი და სამაჩაბლო. თუნდაც ის ფაქტი, რომ სახელმწიფო საკონსტიტუციო აფხაზეთიდან და აჭარიდან არც ერთი წარმომადგენელი არ არის შეყვანილი, როგორც ლეგიტიმური ორგანოს მოქმედი წარმომადგენელი, ეს დიდი ნაკლია.

— თქვენ ფიქრობთ, რომ აჭარის საბჭოდან უნდა იყოს ერთი წარმომადგენელი?

— დიახ. თუ შენ კონსტიტუციას იცავ, აღიარებ მის სტატუსს. ერთი წარმომადგენელი უნდა იყოს საკონსტიტუციო კომისიაში. აჭარაზე კიდევ შეიძლება დახუჭო თვალი, მაგრამ აფხაზეთთან დაკავშირებით ძალიან რთულადაა საქმე. მოგეხსენებათ, როგორი გართულებული ურთიერთობაა.

— ცხინვალთან დაკავშირებით?

— ცხინვალის პრობლემა კიდევ უფრო მძიმეა. ცხინვალში ლეგიტიმური ორგანო არ არსებობს. ჯერ ერთი, ოკუპირებულია...

— მე მგონი, ლეგიტიმურად სანაკოევს თვლიან.

— ცხინვალის რეგიონში სააკაშვილმა, ფაქტობრივად, ორხელისუფლებიანობა რომ დააკანონა, თან ახალგორი შეიყვანა „სამხრეთი ოსეთის" შემადგენლობაში, ასევე კოდორს ზემო აფხაზეთი დაარქვა და ამით ოკუპაციას გაუხსნა სამართლებრივი სივრცე. იგივე გააკეთა ახალგორთან დაკავშირებით და ორხელისუფლებიანობა რომ დააკანონა. სხვათა შორის, რუსეთის ჯარი რომ დგას 30 კილომეტრში, ბურჯანაძის დამსახურებაცაა. მინდა გავახსენო ზოგიერთებს ბურჯანაძის დროს მიღებული გადაწყვეტილება. სწორედ ბურჯანაძის დროს შევიდა „სამხრეთი ოსეთის" საზღვრებში ახალგორი და ორხელისუფლებიანობა დაკანონდა. ამიტომ, როდესაც ასეთი ცდომილებებია და დანაშაულებრივი შეცდომებია დაშვებული, აუცილებელია სამართლებრივი სივრცის გასწორება. ყველაფერი კანონიერ ფარგლებში უნდა მოექცეს ანუ მანამდე რა

## რატომ უნდა გაუქმდეს ორმაგი მოქალაქეობა

სახეც ჰქონდა, დაუმახინჯებლად, ყოველგვარი ძალდატანებისა და მავნე პოლიტიკური ფანტაზიების გარეშე უნდა დაუბრუნდეს თავის საწყისს. ესეც არ გააკეთა დღეს მოქმედმა პარლამენტმა. წინამდებარე ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა და ახლანდელმა მემკვიდრეობით მიიღო, მაგრამ რატომ არ ასწორებენ? რატომ დაამკვიდრეს ტერმინი „სამხრეთი ოსეთი"? სანაკოევის მთავრობა პარალელურ რეჟიმშია ცხინვალის დღევანდელ ადმინისტრაციასთან.

— ე.ი. თქვენი აზრით, დღევანდელმა პარლამენტმა სააკაშვილის მიერ შექმნილი „სამხრეთი ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია" უნდა გააუქმოს?

— მაშინ ლეგიტიმური ორგანო რომელი შეიძლება იყოს?

— ლეგიტიმურ ორგანოს განსაზღვრავ. ჯერ სამართლებრივი სივრცე უნდა აღადგინო. როდესაც მოგეცემა იმის შანსი, რომ პოლიტიკისა და სამოქალაქო დონეზე თვითრეალიზაცია მოახდინო, შემდეგ ჩაერევი.

— რაიმე სტატუსის მინიჭება ამ რეგიონისთვის მიზანშეწონილად მიგაჩნიათ?

— ამ ეტაპზე ამ რეგიონისთვის რაიმე სტატუსის მინიჭებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ადრე დაპირისპირება იყო, მაგრამ დღეს უკვე ყველა აღიარებს, რომ უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება, რომელმაც გააუქმა ეს უკანონო წარმონაქმნი (ამ დადგენილებამ, ფაქტობრივად, დაადასტურა ცხინვალში ოსების მიერ სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება და არალეგიტიმურად ცნო სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკის შექმნა), სწორი გადაწყვეტილება იყო. არასერიოზულ ადამიანებს კიდევ არ ესმით ამ ფაქტის მნიშვნელობა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ „სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის" გაუქმება რომ არ დაგვედასტურებინა და „სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკა" რომ არ გვეცნო არალეგიტიმურად, სხვა ახალი პრობლემები გვექმნებოდა. კერძოდ, ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებით ავტონომიურ რესპუბლიკებს ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე მოეწერათ ხელი და, ფაქტობრივად, იურიდიულად გასული იყო ჩვენი იურისდიქციიდან. ამიტომ ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. ნებისმიერი სწორი გადაწყვეტილება, რომელი პარლამენტისა და ხელისუფლების მიერაც უნდა იყოს მიღებული, მისასალმებელია. „საკონსტიტუციო კონგრესის" ძირითადი პრინციპია, ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც სწორია და შეესაბამება ქართველი ერის ინტერესებს, სახელმწიფოებრივ და მარადიულ იდეებზეა ორიენტირებული, უნდა დაკანონდეს. „საკონსტიტუციო კონგრესი" იმუშავებს საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაზე, მიწის, სოფლის მეურნეობის, თვითმმართველობის, ორმაგი მოქალაქეობის საკითხებზე. ჩვენი პოზიცია, რომ ორმაგი მოქალაქეობა დაუშვებელია.

— ანუ ორმაგი მოქალაქეობა უნდა გაუქმდეს?

— აუცილებლად. ვინც უნდა იყოს და რა დამსახურებაც უნდა ჰქონდეს, თუნდაც გრანდიოზული, თუნდაც სამოქალაქო ომს ვინც გადაგვარჩინა, მას რომ მოერგოს კონსტიტუცია, დაუშვებელია. ადამიანმა უნდა აირჩიოს ერთი მოქალაქეობა და მას უნდა დასჯერდეს. გამონაკლისი არავისთვის არ უნდა იქნეს დაშვებული, თუმცა საკონსტიტუციო ჯგუფი გამოვიდა ინიციატივით, შესწორება შევიდეს კონსტიტუციაში — გამონაკლისი დაიშვას და ორმაგი მოქალაქეობის უფლების მქონე პირებს უფლება მიეცეთ, პარლამენტის თავმჯდომარის, პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის პოსტი დაიკავონ. ჩვენი ღრმა პატივისცემის მიუხედავად, ეს ნონსენსია და ამის დაშვება არ შეიძლება. ამ საკითხზე ჩვენ სერიოზული დავა და სჯა-ბაასი გველოდება. გვინდა, ეს საკითხი კონსტიტუციურად გადავწყვიტოთ და ვითანამშრომლოთ ხელისუფლებასთან. თუ გაითვალისწინებენ ჩვენს შეთავაზებასა და სტრატეგიულ საკითხებს, ჩვენ მზად ვართ, მივავლინოთ რამდენიმე ადამიანი მათთან სათანამშრომლოდ, გვინდა, ჩვენი წარმომადგენელი გვყავდეს პარლამენტში.

— ზეგავლენას როგორ მოახდენთ, თქვენი სიძლიერე რით გამოიხატება?

— ჩვენი სიძლიერე სიმართლესა და თანხმობაშია. ჩვენთან არიან კონსტიტუციის დამაარსებლები, მეცნიერები და ის ადამიანები, რომლებმაც აღადგინეს ქვეყნის დამოუკიდებლობა. ყველაფერი საქართველოს მოსახლეობის ნებასა და მათ შეგნებაზეა დამოკიდებული. თუ არ შედგა ჩვენი თანამშრომლობა, თუ ჩვენი შეთავაზება იგნორირებულ იქნა, ვერავის ვერაფერს ვაიძულებთ. თუ აქამდე ხელის გადაგრეხით კეთდებოდა ყველაფერი — პოლიტიკური სისტემის, კონსტიტუციის, უმრავლესობის. ოპოზიციის შექმნა (ცხადზე ცხადია, რა მექანიზმებით კეთდებოდა), ხელის გადაგრეხამ რა შედეგიც მოიტანა, ვხედავთ. მოვუწოდებთ, ამ გზაზე უარი თქვას და კეთილი ინებონ და ითანამშრომლონ ლეგიტიმური ორგანოს წარმომადგენლებთან (ამ სიტყვის კარგი გაგებით). თუ კოჰაბიტაცია არ შედგა, ძალიან სამწუხარო იქნება. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ალტერნატიული კონსტიტუციის პროექტი შეიქმნას. ჩვენ პროექტების შეჯერების მომხრე ვართ. შეჯერება უნდა მოხდეს ფუნდამენტურ საკითხებში. გადამწყვეტი არ არის საპრეზიდენტო მმართველოა იქნება თუ საპარლამენტო ან ვინ არის მემარჯვენე, მემარცხენე ან ანარქისტი. ამ საკითხებში კონსენსუსის მიღწევაც შეიძლება და დათმობაც.

— საპრეზიდენტო მმართველობა უნდა ყოფილიყო თუ საპარლამენტო, ამაზე დიდი მსჯელობები იყო და თქვენთვის მნიშვნელობა არ აქვს, რომელი იქნება?

— ეს საკითხი მნიშვნელოვანია, მაგრამ ინდივიდუალურია. ამ საკითხის წინ წამოწევით გადაიფარა უფრო მნიშვნელოვანი საკითხი, რაც შეგნებულად გაკეთდა.

— რა საკითხი გადაიფარა?

— გადაიფარა აფხაზეთის საკითხი, ცხინვალის პრობლემა, საქართველოს ტერიტორიული მოწყობა. მიწის, პრივატიზაციის, რეგიონალიზმის, კულტურული მემკვიდრეობის საკითხები. ეს საკითხები დამანგრეველია, განსაკუთრებით, კონფედერაციული მოწყობისკენ თუ წავიდა ტენდენცია. კონფედერაციულ მოწყობას ჩვენ მხარს ვერ დავუჭერთ, რადგან სრული ნონსენსია. რაღაც ტენდენციებს ვამჩნევთ. სერბეთში (კოსოვოზაცია) ამ იდეამ ხორცი შეისხა. დღევანდელი სერბეთის ხელისუფლება უკვე დათმობაზე მიდის, დიალოგი დაწყებულია. ამ რეალობის წინაშე რომ არ დავდგეთ და კოსოვოზაცია არ მოხდეს, ძალიან ფრთხილად უნდა ვიმოქმედოთ, რადგან ისედაც უმძიმეს მდგომარეობაში ვართ.

— ანუ ჩვენ შეგვიძლია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მცხოვრებლებთან — აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობის დალაგება ისე, რომ არ დავადგეთ კოსოვოზაციის გზას?

— შესაძლებელია. ოღონდ, საერთოდ, ერსა და სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს თავისი სტრატეგია ანუ უნდა იცოდე, სად იწყება შენი სახელმწიფოებრივი ინტერესები და სად გადის დათმობის ზღვარი. კონსენსუსი და ლიბერალიზაციის მომენტები უნდა გქონდეს ჩამოყალიბებული, თუმცა მისი გადაწყვეტა არ უნდა იყოს ხელისუფლების პრეროგატივა. ხელისუფლება არის დროებითი, თანაც ბიძინა ივანიშვილმა გაიმარჯვა და მის კოალიციაში შემავალი პარტიები ნულოვანი პარტიებია. ამიტომ მათ არ უნდა ჰქონდეთ საქართველოს ბედის, მისი მომავლისა და ისტორიის შემოქმედის უფლება ამ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში. ეს საკითხი მთელი ერის ნებითაა გადასაწყვეტი.

---

### „ახალაიაზე სასამართლოს გადაწყვეტილება „ქართული ოცნების" უუნარობის დადასტურებაა"

პარტია „დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერის, ნინო ბურჯანაძის მოსაზრებით, ბაჩო ახალაიას საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილება „ქართული ოცნების" უსუსურობისა და უუნარობის კიდევ ერთი დადასტურებაა. მან ამის შესახებ თავდაცვის ყოფილი მინისტრ ბაჩო ახალაიას მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დღეს გამოტანილ გამამართლებელი განაჩენის კომენტირებისას განაცხადა.

„მინდა, პირდაპირ გითხრათ, რომ ამ გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ დასტურდება „ქართული ოცნების" ხელისუფლების უსუსურობა და უუნარობა. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენს ქვეყანაში ძალიან მძიმე ვითარებას მივიღებთ", — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მედიანიუსი

### ირაკლი ალასანია: „ადამიანები, რომლებიც მეომრისთვის გამოყოფილ ნახევარ მილიონს ხელს მოკიდებენ, მუნდირის ტარების ღირსები არ არიან"



თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია გენერალური შტაბის ყოფილი უფროსის, სასამართლოს მიერ უდანაშაულოდ ცნობილ გიორგი კალანდაძის განცხადებებს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ისეთი ადამიანები, რომლებიც ნახევარ მილიონს სახელმწიფო ბიუჯეტს, იმ ბიუჯეტს, რომელიც განსაზღვრულია მეომრისთვის, მეომრის კვებაზე, შეიარაღებაზე, ხელს მოკიდებს, ბინას იყიდის და მოიწყობს, მუნდირის ტარების ღირსები არ არიან.

როგორც მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, მის ფუნქციაში მიმდინარე გამოძიებებზე კომენტარის გაკეთება არ შედის, რადგანაც გამოძიებას არ აწარმოებს თავდაცვის სამინისტროს ოპერატიული ქვედანაყოფი.

მინისტრის შეფასებით, ნაციონალური მოძრაობის კონკრეტული დეპუტატები ცდილობენ კალანდაძე „რეალ ტვ"-ის გროტესკულ პერსონაჟად გადააქციონ. ირაკლი ალასანიამ სინანულით აღნიშნა, რომ პოლიტიკური ძალები ახალგაზრდა გენერალს პოლიტიკური ინსინუაციებისთვის იყენებენ.

მედიანიუსი

### გიორგი თარგამაძე: „ბიუჯეტი და ბიზნესი სახელისუფლებო კანდიდატის გამარჯვებისთვის უნდა გამოწურონ"

საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერის, გიორგი თარგამაძის განცხადებით, „ქართული ოცნების" კანდიდატის გამარჯვების ნაკლები რწმენა არსებობს. მან ამის შესახებ აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ რიჩარდ ნორლანდთან არასაპარლამენტო ოპოზიციის შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

მას მიაჩნია, რომ ამაზე წინასაარჩევნოდ პარტიების უთანასწორობასთან დაკავშირებული პრობლემები მიუთითებს.

მისივე თქმით, ისევ ვიღებთ სიტუაციას, როცა ბიუჯეტი და ბიზნესი სახელისუფლებო კანდიდატის არჩევნებში გამარჯვებისთვის „უნდა გამოწურონ". მისივე ინფორმაციით, არასაპარლამენტო ოპოზიციამ აშშ-ის ელჩს თავისი აქტიური მონაწილეობით ამ პრობლემის გადაჭრაში დახმარება სთხოვა.

მედიანიუსი

# კახეთის სოფლებს მგლები შეესივნენ?

მერი ნამორაძე

მგლის შემოსევა უცხო ხილი აღარ არის გლეხობისათვის, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ამ ნადირის მოკვლა დასჯადი გახდა. ჰოდა, მგელი ისე მომრავლდა კახეთში, ზამთარს ვინ ჩივის, აგერ, გაგანია ზაფხულში დაიწყეს ცხვრებზე ნადირობა მგლებმა. ყვარლის რაიონის სოფელ საცხენეში ნადირმა 19 სული ცხვარი დაგლიჯა, ხოლო 6 სული გაიტაცა. მოსახლეობა შესაბამისი სამსახურებისგან პრევენციული ზომების გატარებას ითხოვს. ადგილობრივები ყვებიან, რომ სოფელში ეს მგლის ხროვის გამოჩენის პირველი შემთხვევა არ არის. ისინი შიშობენ, რომ მტაცებლის ადამიანებზე თავდასხმის საშიშროება სულ უფრო რეალური ხდება.

კახეთის საინფორმაციო სააგენტოს ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ მგლებმა თელავის რაიონის სოფელ ართანაში 10-მდე სული ცხვარი დაგლიჯეს. შემთხვევიდან მეორე დღეს კი მტაცებლები გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში თავს ცხვრის ფარას დაესხნენ და ოთხი ცხვარი დაგლიჯეს.

ერთობ გამრავლებული მგლის ხროვასთან გამკლავება რთული იქნება შესაბამისი სამსახურებისთვისაც კი, რადგან, კაცმა არ იცის, სად და როდის გამოჩნდებიან. მოსახლეობა სრულიად დაუცველი რჩება გარეული ნადირთა ხროვასთან და, საქმე ისე შეიძლება წავიდეს, სოფლის შარაზეც კი საშიში გახდეს გავლა.

# „საქსტატის მონაცემები ქვეყანაში არსებული კრიმინოგენური სიტუაციის რეალურ სურათს არ ასახავს“

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები, ივნისის თვეში, დევნის დაწყების მაჩვენებლის შესახებ, ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული სიტუაციის რეალურ სურათს არ ასახავს. „აღნიშნული გასაჯაროებული მონაცემები, მხოლოდ პროკურატურის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობა, რომელიც მხოლოდ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების მონაცემებს მოიცავს. შინაგან საქმეთა სამინისტრო კი, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დანაშაულს სრულად ითვლის. სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის როგორც პირველ კვარტალში, ასევე 6 თვის დასრულების შემდეგაც გამოქვეყნებული იქნა სტატისტიკური მონაცემები. 6 თვის შედეგების თანახმად, დანაშაულის მაჩვენებელი მთელი ქვეყნის მასშტაბით 3300 ერთეულით არის შემცირებული, გახსნის მაჩვენებელი კი 52%-ია, როცა წინა წლის იმავე პერიოდში მხოლოდ 24% იყო. ეს იმ ფონზე, როცა 14 ათასი პატიმარია გათავისუფლებული“ – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ნიუსპრესი

# პაკისტანს მეთორმეტე პრეზიდენტი ჰყავს



პაკისტანის პრეზიდენტი პარლამენტში გამართული კენჭისყრის შემდეგ მუსულმანური ლიგის წარმომადგენელი მამნუნ ჰუსეინი გახდა. ინფორმაციას ამის შესახებ ადგილობრივი ტელევიზია ავრცელებს.

ტელეარხის ინფორმაციით, გავრცელებული ინფორმაცია ხმის მიცემის არაოფიციალურ შედეგებს ეყრდნობა.

ჰუსეინი ამ თანამდებობაზე ასიფ ალი ზარდარს შეცვლის და პაკისტანის მე -12 პრეზიდენტი გახდება. პაკისტანის კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტს შეზღუდული უფლებები აქვს და მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას იგი მნიშვნელოვან როლს არ ასრულებს. ამ ფონზე, ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი პაკისტანში ჩავიდა, სადაც პრემიერ ნავაზ შარიფთან გამართავს მოლაპარაკებას. უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე ამერიკელი დიპლომატის ვიზიტი საჯაროდ არ გამოუცხადებიათ.

„ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, დღის წესრიგში ისეთი საკითხებია შესული, როგორიც არის: ეკონომიკური ურთიერთობა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. როგორც ცნობილია, ამერიკის მიერ უპილოტო საფრენი აპარატის გამოყენებასთან დაკავშირებით ორ ქვეყანას შორის სერიოზული უთანხმოება არსებობს. პაკისტანი მსგავს ოპერაციებს ქვეყნის სუვერენიტეტის დარღვევად მიიჩნევს. 2004-დან 2013 წლამდე პაკისტანის ტერიტორიაზე განხორციელებული საჰაერო იერიშის შედეგად 3460 ადამიანია მოკლული. შარიფმა ამერიკას უპილოტო საფრენი აპარატების მეშვეობით იერიშების შეწყვეტა 2013 წლის მაისშიც მოსთხოვა. ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე ეს კერის პირველი ვიზიტია პაკისტანში.

ქვეყანაში ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად ექსტრემიზთან ბრძოლა რჩება. ცოტა ხნის წინ ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე კარგად დაცულ ციხეზე „თალიბანმა“ მოაწყო თავდასხმა, საიდანაც საკუთარი მებრძოლები გაათავისუფლა. აღნიშნულმა კიდევ ერთხელ გააჩინა კითხვები, რამდენად არის მზად ქვეყნის უსაფრთხოების ძალები შეიარაღებული მებრძოლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

გ. მ.

# თბილისის მერიისგან განმარტებებს ითხოვენ

მერი ნამორაძე



თბილისის მერია ჩვეულ ამპლუაში განაგრძობს დაცულ ზონებში რესტორნების მშენებლობებზე ნებართვის გაცემას. ამჯერად ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მოუწოდებს თბილისის მერიას, განმარტოს, თუ რატომ გადაწყვიტა კუს ტბაზე, დაცულ ზონაში არსებულ ტერიტორიაზე რესტორნის მშენებლობა.

ორგანიზაციის ინფორმაციით, ნაკვეთის პრივატიზება თავდაპირველად 2000 წლის ივნისში განხორციელდა ქ.თბილისის პრემიერის განკარგულების საფუძველზე და ის შპს „არმლენდერ ასოშიეიტს“ გადაეცა, რომლის მფლობელი ოფშორულ ზონაში (ვირჯინიის კუნძულებზე) დარეგისტრირებული იმავე სახელწოდების კომპანიაა. 2011 წლის მაისში ნაკვეთი სახელმწიფოს დაუბრუნდა და მისი მესაკუთრე თბილისის თვითმმართველი ერთეული გახდა. თუმცა 2011 წლის ივნისის ბოლოს თბილისის მერიამ გადაწყვიტა, რომ ხსენებულ ტერიტორიაზე ახალი მიწის ნაკვეთი შეექმნა და აუქციონზე გაეტანა. აუქციონის პირობებში ჩაიწერა, რომ მყიდველს ნაკვეთზე უნდა აეშენებინა ორსართულიანი რესტორანი საბანკეტო-საკონცერტო დარბაზით.როგორც არასამთავრობო ორგანიზაციაში ამბობენ, გაურკვეველია, თუ რატომ მიიჩნია თბილისის მერიამ 2011 წლის ივნისში საჭიროდ ამ ტერიტორიის აუქციონზე გატანა, თანაც იქ კონკრეტულად რესტორნისა და საბანკეტო-საკონცერტო დარბაზის აშენების პირობით. ჩნდება ეჭვი, რომ მთელი პროცესი კონკრეტული კერძო კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე წარიმართა.

2011 წლის 19 ივლისს ჩატარებულ აუქციონზე ტერიტორია შპს „ოტიუმმა“ შეიძინა 650 000 ლარად. „ოტიუმის“ მფლობელი აუქციონის ჩატარების პერიოდში სააქციო საზოგადოება სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი „ემ-გრუპ“ იყო. თავის მხრივ, „ემ-გრუპ“-ის თანამფლობელია არჩილ გეგენავა, რომელიც აუქციონის ჩატარების პერიოდში საქართველოს პარლამენტის წევრი იყო მმართველი პარტია „ნაციონალური მოძრაობიდან“. მომდევნო პერიოდში „ოტიუმის“ მფლობელი ჯერ შპს „ჰოლდინგ.ჯი“ გახდა, რომელიც არჩილ გეგენავას ძმას, ანდრო გეგენავას ეკუთვნოდა, ხოლო შემდეგ სეიშელის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია.

2013 წლის დასაწყისში ეს ტერიტორია კიდევ ერთხელ გაიყიდა და ამჯერად ის შპს „კოლორიტმა“ შეიძინა, თუმცა ამ უკანასკნელის თანამფლობელი ასევე „ემ-გრუპია“. ამასთან, საჯარო რეესტრის მონაცემებით, შპს „კოლორიტის“ მფლობელებს შორისაა არჩილ გეგენავას ძმა, ანდრო გეგენავაც.

„საბოლოო ჯამში, სახეზეა სიტუაცია, როდესაც ქალაქის მერიამ გაურკვეველი მიზეზით, სათანადო დასაბუთებისა და საჯარო განხილვის გარეშე გაასხვისა საზოგადოებრივ საკუთრებაში არსებული დაცული ტერიტორიის ერთი ნაწილი. დამატებით ეჭვებს წარმოშობს ის გარემოება, რომ ამ გადაწყვეტილების ერთ-ერთი საბოლოო ბენეფიციარი პარლამენტის წევრი იყო იმჟამინდელი მმართველი პარტიიდან.

აღსანიშნავია, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც თბილისის მერია ქალაქის სარეკრეაციო ზონების მომავლის შესახებ მნიშვნელოვნად გადაწყვეტილებებს ნაჩქარევად და სათანადო საზოგადოებრივი განხილვის გარეშე იღებს, ხოლო გადაწყვეტილების ბენეფიციარი თანამდებობის პირია. მაგალითისთვის, 2011 წელს მერიამ მუშტაიდის პარკი 49-წლიანი იჯარით გადასცა კომპანია „ჯეო გოლდს“, რომელსაც სარეკრეაციო ზონების მენეჯმენტის არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა და რომელიც თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრს, ალექსანდრე ნიკოლაიშვილს ეკუთვნოდა. მოვუწოდებთ თბილისის მერიას, განუმარტოს საზოგადოებას, თუ რა მიზეზით გადაწყდა დაცულ ზონაში არსებული ტერიტორიის გასხვისება, რომელსაც თბილისის მოსახლეობა დასასვენებლად იყენებდა, ასევე რატომ იქნა მიჩნეული საჭიროდ ამ ტერიტორიაზე რესტორნის აშენება“, – ნათქვამია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიმართვაში.

# ძუძუთი კვების კვირეულს საქართველოც შეუერთდა

მერი ნამორაძე

ძუძუთი კვების მსოფლიო კვირეულს, რომელიც ყოველწლიურად 1-7 აგვისტოს აღინიშნება, საქართველოც შეუერთდა. წელს კვირეულის სლოგანია „ახლოს დედასთან“. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ თუ გაეროს ბავშვთა ფონდმა რომ არ შემოგვძახონ ძუძუთი კვების სიკეთის შესახებ, ქართველმა დედებმა კარგად უწყიან, რომ ადეკვატური ძუძუთი კვება ბავშვის სიცოცხლის გადარჩენის უნიკალური საშუალებაა. მაგრამ თანამედროვე ცხოვრება ნაკლებად აძლევს შანსს დედას, ექსკლუზიურად გამოკვებოს სიცოცხლის პირველ 6 თვე პირმშო ძუძუთი. ამიტომ ხდება საჭირო მედიკოსთა და ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ დედებისათვის შეხსენება, რომ ძუძუთი კვების ნაკლებობა, განსაკუთრებით პირველი ექვსი თვის განმავლობაში, ყოველწლიურად მილიონზე მეტი ბავშვის სიკვდილს იწვევს.

2009 წელს საქართველოში ჩატარებული ნუტრიციის ეროვნული კვლევის მიხედვით 6 თვემდე ექსკლუზიური ძუძუთი კვება აღინიშნა ჩვილ ბავშვთა 54,8%-ში. ხოლო ერთ წლამდე ძუძუთი კვების გაგრძელება 36,5%-ში.

როგორც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრში ამბობენ, დედის რძე ცოცხალი ბიოლოგიური ნივთიერებაა, რომელიც მუდმივად იცვლება ბავშვის მოთხოვნილების შესაბამისად. დედის რძეში საუკეთესო თანაფარდობით არის წარმოდგენილი ბავშვის ზრდისა და განვითარებისთვის აუცილებელი ყველა ნივთიერება. ქალის რძე არა მარტო სრულფასოვანი საკვებია, არამედ დამცველობით ფუნქციასაც ასრულებს. დედის რძე ვიტამინების საუკეთესო წყაროა. ამასთან, მასში შემავალი დამცველობითი ფაქტორები იცავს ბავშვს მრავალი ინფექციური, არაინფექციური და ალერგიული დაავადებისაგან. ამავე დროს, ქალის რძე თავად ასტიმულირებს ბავშვის იმუნური სისტემის მომწიფებას. სწორედ ამიტომ ბუნებრივ კვებაზე მყოფი ბავშვები გაცილებით იშვიათად ავადდებიან, ვიდრე ხელოვნურ კვებაზე მყოფნი. დედის რძე შეიცავს ანტისხეულებს, რომელიც იცავს ბავშვებს მრავალი დაავადებისაგან. მათ შორის პნევმონიისა და დიარეისაგან, რომლებიც წარმოადგენს მსოფლიოში ბავშვთა სიკვდილიანობის ორ ძირითად მიზეზს.

ქალის რძე შეიცავს ფერმენტებს, რაც ხელს უწყობს ბავშვის კუჭ-ნაწლავის ტრაქტში მისი მონელების პროცესს. დედის რძეში შემავალი ჰორმონები და ზრდის ფაქტორები განაპირობებენ ბავშვის ყველა სისტემის ფუნქციურ ზრდას და მომწიფებას. ძუძუთი კვება ხელს უწყობს ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებას, ამავე დროს, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვის ენისა და სახის კუნთების განვითარებაში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს შემდგომში სწორი თანკბილვისა და მეტყველებისთვის.

ძუძუთი კვება უსაფრთხო და მეტად მოსახერხებელია. დედის რძე არ მოითხოვს ადუღებასა და შეთბობას. დედასთან კონტაქტი, კომფორტული გარემო, წოვის რეფლექსის დაკმაყოფილება, უსაფრთხოების შეგრძნება, სრულფასოვანი საკვების მიღება, ორგანიზმის თითოეული ფუნქციის ჩამოყალიბება, იმუნური, ნერვული და ენდოკრინული სისტემის განვითარება სწორედ ძუძუთი კვებასთან არის დაკავშირებული.

მედიკოსები ამტკიცებენ, რომ მოზრდილები, რომლებიც იკვებებოდნენ დედის რძით, გამოირჩევიან სისხლის შედარებით ნორმალური წნევის მაჩვენებლებით და ქოლესტერინის დაბალი დონით, აგრეთვე ჭარბი წონის, სიმსუქნისა და მე-2 ტიპის დიაბეტის დაბალი მაჩვენებლებით, გარდა ამისა, ავლენენ უკეთეს ინტელექტუალურ მონაცემებს.

# რატომ დაიწყო დევნილთა ხელახალი რეგისტრაცია?

მერი ნამორაძე

ხელისუფლება დევნილთა ხელახალ რეგისტრაციას იწყებს. ამის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა დავით დარახველიძემ განაცხადა. საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ მავანის მიერ პოლიტიკური მიზნებისა და საარჩევნო სიებში მანიპულაციებისთვის ხშირად გამოიყენებოდა დევნილთა გაყალბებული მოწმობები. ხელახალი რეგისტრაციის ერთ-ერთ მიზანს ამგვარი პრეცედენტების აღმოფხვრაც წარმოადგენს.

როგორც დარახველიძემ განაცხადა, შესაბამისი გადაწყვეტილება მთავრობამ სპეციალური განკარგულებით მიიღო. მინისტრის თქმით, რეგისტრაცია სავალდებულოა ყველა დევნილისთვის, რათა მათ შემწეობა არ შეუჩერდეთ.

„ხელახალი რეგისტრაციის აუცილებლობა განაპირობა მრავალმა მიზეზმა, მათ შორის ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ სხვადასხვა არჩევნების დროს ასევე სხვადასხვა მოტივით გაიცემოდა დევნილის ყალბი მოწმობები. შესაბამისად, ჩვენი სამინისტროს ამოცანაა, დაზუსტდეს დევნილთა რაოდენობა, ასევე საჭიროა, შესწავლილ იქნეს დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რათა შესაბამისი პოლიტიკა შევიმუშაოთ“, – განაცხადა დარახველიძემ.

მისივე თქმით, დევნილთა რეგისტრაცია საქართველოს ყველა რეგიონის ადგილობრივ მუნიციპალიტეტში, ადმინისტრაციულ შენობებში გრაფიკის მიხედვით ჩატარდება. დევნილი რეგისტრაციას გაივლის იმ რაიონში, სადაც არის დარეგისტრირებული. რეგისტრაციაზე ჩაწერა შესაძლებელია წინასწარ ცხელი ხაზის მეშვეობითაც.

რეგისტრაციის გასავლელად დევნილმა უნდა წარმოადგინოს დევნილის მოწმობა, არასრულწლოვნების შემთხვევაში კი – პირადობის ან დაბადების მოწმობა.

რეგისტრაციის პროცესი 27 დეკემბრის ჩათვლით გაგრძელდება. როგორც მინისტრმა განმარტა, დევნილებს, რომლებიც აღნიშნულ ვადაში რეგისტრაციის გავლეს ვერ მოახერხებენ, დევნილის სტატუსი და შემწეობები შეუჩერდებათ, ხოლო იმ დევნილებს, რომლებიც რეგისტრაციას საპატიო მიზეზით ვერ გაივლიან, 27 დეკემბრის შემდეგ დამატებით სამთვიანი ვადა ეძლევათ.

# მსჯავრდებულებმა შიმშილობა შეწყვიტეს

ქსნის №15 და რუსთავის №17 სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფმა მოშიმშილე მსჯავრდებულებმა შიმშილობა შეწყვიტეს. პროტესტის უკიდურეს ფორმაზე უარი მსჯავრდებულებმა მას შემდეგ თქვეს, რაც მათ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია, ამავე კომიტეტის წევრი გედევან ფოფხაძე და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის პირველი მოადგილე გიგა გიორგაძე შეხვდნენ. ქსნის №15 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დეპუტატებთან ერთად სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილიც იმყოფებოდა, – აცნობეს „მედიანიუსს“ სასჯელაღსეულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროდან.

ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია და მინისტრის პირველი მოადგილე გიგა გიორგაძე, რომელიც ამავდროულად ვადამდე გათავისუფლების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეც გახლავთ, მსჯავრდებულებს ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებების გადახედვას დაჰპირდნენ. რაც შეეხება შეკრებითობის წესის გაუქმების შემდეგ მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, მსჯავრდებულებმა ეკა ბესელიასგან საქმეების ინდივიდუალურად შესწავლის პირობა მიიღეს.

მედიანიუსი

# ივლისის თვეში საქართველოში 609 189 ვიზიტორი შემოვიდა

შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა, ივლისის თვის სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს. სამინისტროს ინფორმაციით, 2013 წლის ივლისისთვის, სულ 609 189 ვიზიტი დაფიქსირდა, რაც 2012 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 15,6 %-ით მეტია.

რაც შეეხება მიმდინარე წლის იანვარ-ივლისის ინტერვალს, დასახელებულ შუალედში ჯამურმა რაოდენობამ 2 797 910 ვიზიტი შეადგინა, რაც 26%-ით მეტია 2012 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელზე, ხოლო შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, მონაცემთა ურთიერთმიმართება შემდეგია:

ტურისტი – 1 085 378 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 39%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 21,4%);

ტრანზიტი – 564 508 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 20%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 59%);

სხვა – 1 148 024 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 41%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 18%).

2013 წლის ივლისში საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ სომხეთიდან (162592), თურქეთიდან (139002), რუსეთიდან (115871), აზერბაიჯანიდან (109704), უკრაინიდან (14113) და ირანიდან (9248) განხორციელდა.

ასევე, გარკვეული ზრდის ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით ივლისში პოლონეთი და ჩეხეთი (შესაბამისად 86% და 39%) გამოირჩევიან.

მედიანიუსი

# გადაარჩინეთ საყდრისის ოქროს მაღარო!

ეკა ირემაშვილი



ძეგლის გადარჩენის საინიციატივო ჯგუფი 5.400 წლით დათარიღებული საყდრისის ოქროს მაღაროს გადარჩენას ითხოვს. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გურამ ოდიშარიას გადაწყვეტილებით, საყდრისის ოქროს მაღაროს უძრავი ძეგლის სტატუსი მოეხსნა.

კულტურის მინისტრის ამ გადაწყვეტილებას უპასუხისმგებლოს უწოდებს ძეგლის გადარჩენის საინიციატივო ჯგუფის წევრი რაულ გვეტაძე:

– მოვითხოვთ ყველამ ერთად გადავარჩინოთ საყდრისის ოქროს მაღარო. როგორც ცნობილია, კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ საყდრისის ოქროს მაღაროს უძრავი ძეგლის სტატუსი მოეხსნა. ძეგლის გადატანის მიზეზი ის 20 ტონა ოქროა, რომელიც მის მიმდებარე ტერიტორიაზეა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ საყდრისის ოქროს მაღაროსთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება 16 ივლისს გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია:

„კომპანია „ერემჯის“ 2013 წლის 26 აპრილის №034/13 განცხადების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის ინიცირებითა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შეიქმნა „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია“, რომელსაც დაევალა აღნიშნული ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლა.

კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც იყო 11 მაღალი კვალიფიკაციის მქონე სხვადასხვა დარგის სპეციალისტი, 35 დღიანი მუშაობის შედეგად დაადგინა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ და „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ (1999-2007) საქართველოს კანონის დარღვევით ჰქონდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მინიჭებული.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო მხოლოდ იმ მოტივით, რომ 1999 წლის 25 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“, რომლის 77-ე მუხლის მიხედვით ძალადაკარგულად გამოცხადდა მანამდე მოქმედი საქართველოს სსრ 1977 წლის კანონი „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“, რის შედეგადაც, „ნორმატიული აქტების შესახებ“ 1996 წლის საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების გათვალისწინებით, ძალადაკარგულად ჩაითვალა ყველა ის კანონქვემდებარე აქტი, რომელთა გამოცემაც მოხდა 1977 წლის „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის საფუძველზე, მათ შორის ის აქტები, რომელთა მიხედვითაც კონკრეტული ობიექტები გამოცხადდნენ ისტორიისა და კულტურის ძეგლებად.

იმის გამო, რომ ზემოაღნიშნულ ძველ სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ ობიექტებს არ ჰქონდათ დაკარგული კულტურული ღირებულება, „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანებით მათ მიენიჭათ (პრაქტიკულად აღუდგათ) კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი ამავე ბრძანების დანართში მოყვანილი ნუსხის მიხედვით. მათ შორის აღმოჩნდა აგრეთვე ბოლნისის რაიონის ობიექტების ნუსხაში მითითებული ობიექტი – საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროც, თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბრძანების გამოცემის მომენტისათვის ხსენებული ობიექტი არც ერთ ზემოაღნიშნულ (ძველ) სამართლებრივ აქტში არ იყო აღნუსხული როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. შესაბამისად, „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო“ სამართლებრივად არ უნდა მოხვედრილიყო საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 30.03.2006წ. №3/133 ბრძანების დანართში, რადგანაც არ წარმოადგენდა მისი რეგულირების საგანს და ამდენად იგი აბსოლუტურად უსაფუძვლოდ იქნა შეტანილი ზემოხსენებულ სამართლებრივ აქტში.

აღნიშნული ქმედება „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის („5. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ ჰქონდა თავისი გადაწყვეტილება დაეფუძნებინა იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს“) და 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევაა („2. დაუშვებელია ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არაა გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ“).

ასევე დარღვეულია იმ დროს მოქმედი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი, რაც გულისხმობს, რომ ძეგლის სტატუსი უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტს უნდა მინიჭებოდა მხოლოდ კომისიის დასკვნის საფუძველზე, რაც არ განხორციელებულა. სამინისტროში არ მოიძებნა არც ერთი დოკუმენტი, რომელიც იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით უნდა ყოფილიყო არქეოლოგიური ობიექტისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭების საფუძველი.

საყდრისი-ყაჩაღიანის უბანზე უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლის, კერძოდ, უძველესი ოქროს მაღაროს არსებობის მეცნიერული დასაბუთება, არქეოლოგიური კუთხით, შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს და არ არის დამაჯერებელი. არგუმენტები და ფაქტობრივი მასალა, რაც კომისიას წარედგინა ანგარიშებისა და დასკვნების სახით, ვერ ადასტურებს ოქროს უძველესი და უნიკალური მაღაროს არსებობას.

კომისიის სხდომებზე წარდგენილი იქნა გეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური, მეტალურგიული, და მასალათა გამძლეობის დასკვნები, რომელთა მსგავსი შინაარსიდან გამომდინარე მიჩნეულ იქნა, რომ გეოლოგიური კუთხით, პრეისტორიულ პერიოდში ოქროს მოპოვება საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბანზე არ დასტურდება.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს თხოვნის საფუძველზე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ადგილზე სიტუაციის შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნის შესაბამისად, საყდრისის ტერიტორიაზე დაწყებული მადნის მოპოვებითი სამუშაოების შეწყვეტა უპირობოდ გამოიწვევს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების არაკონტროლირებად ეფექტებს.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, 2013 წლის 5 ივლისს, გამოცემული იქნა №03/108 ბრძანება, რომელიც გულისხმობს არქეოლოგიური ობიექტისათვის კანონის დარღვევით მინიჭებული ძეგლის სტატუსის ბათილად ცნობას.

ამავე ბრძანების საფუძველზე, დაიწყო მუშაობა ბოლნისის მუნიციპალიტეტში მუზეუმის აშენების საკითხზე, სადაც განთავსდება საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე მოპოვებული კულტურული ღირებულების მქონე არტეფაქტები.

„საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის“ ტერიტორია ინარჩუნებს არქეოლოგიური დაცვის ზონის სტატუსს, შესაბამისად, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „არქეოლოგიური დაცვის ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც გამოიწვევს ზონაში დაცული კულტურული მემკვიდრეობის დაზიანებას, განადგურებას, მისი აღქმის გაუარესებას ან ხელს შეუშლის მასზე სრულფასოვანი მეცნიერული კვლევის ჩატარებას“. აქედან გამომდინარე, არქეოლოგიური სამუშაოების დასრულებამდე და არქეოლოგიური დაცვის ზონის არსებობის პირობებში, საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის უსაფრთხოება კანონით არის სრულყოფილად დაცული.

## შსს-ს არქივი და ჩეხეთის ტოტალიტარული რეჟიმების შემსწავლელი ინსტიტუტი ერთობლივ გამოფენას მოაწყობენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივს, გუშინ სტუმრად ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩი ივან იესტრჟაბი და ელჩის მოადგილე ვერონიკა სიდო ეწვივნენ. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ჩეხეთის საელჩოს შუამდგომლობით, უახლოეს მომავალში, იგეგმება შსს-ს არქივისა და ჩეხეთის ტოტალიტარული რეჟიმების შემსწავლელი ინსტიტუტის ერთობლივი გამოფენის მოწყობა.

ჩეხეთის ელჩმა და არქივის დირექტორმა ომარ თუშურაშვილმა მომავალი

თანამშრომლობის სხვა საკითხებიც განიხილეს. სტუმრები არქივში არსებულ უნიკალურ დოკუმენტაციას გაეცნენ, დაათვალიერეს მუზეუმი, სადაც დაცულია სისხლის სამართლის საქმეები, რომელთაც წარსულში „გრიფით – საიდუმლო“ ედო.

ჩეხეთის ელჩმა არქივზე და მუზეუმის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

**ნიუსპრესი**


## განცხადებები

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.



**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# პატარკაციშვილების ოჯახის განცხადება

ბოლო დროს თბილისის „დინამოს“ ირგვლივ რამდენიმე სკანდალური ინფორმაცია გავრცელდა. ჯერ იყო და პატარკაციშვილების ოჯახისთვის მისი ძალით ჩამორთმევის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია, შემდეგ იგივე განცხადება უკვე ფიზკულტურულ-სპორტულმა კლუბმა „დინამომ“ გააკეთა და საფეხბურთო კლუბისთვის ბაზის მიზერულ ფასში გადაცემის თაობაზე თავისი აზრი გამოთქვა.

პატარკაციშვილების ოჯახმა საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ გასხვისებასთან დაკავშირებით განცხადებას გაავრცელა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

— ბოლო დროს პრესაში გამოქვეყნებულმა პუბლიკაციებმა გადაგვაწყვეტინა ამ განცხადების გაკეთება. ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ ჩვენი ოჯახი აგრძელებდა საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ დაფინანსებას და მის განვითარებას, თუმცა, იმ ზეწოლის გამო, რომელიც ხორციელდებოდა წინა ხელისუფლების მიერ ჩვენი ოჯახისა და მის მფლობელობაში არსებულ აქტივებზე, „დინამოს“ შემდგომი განვითარება დადგა კითხვის ქვეშ. ჩვენ ამონაწერებსაც კი ვერ ვიღებდით კლუბის შესახებ რეესტრიდან, რომ კლუბს მისცემოდა საშუალება, თამაშებზე პრობლემების გარეშე გამგზავრებულიყო, ამიტომ, კლუბის ინტერესებიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, გვეპოვა ინვესტორი, რომელიც შეძლებდა კლუბის გადარჩენას და განვითარებას. ჩვენ თვითონ მივმართეთ და ლონდონში შევხვდით ბატონ რომან ფიფიას და ვკითხეთ, აინტერესებდა თუ არა „დინამოს“ შემდეგი განვითარება, თუკი ჩვენ მას უსასყიდლოდ გადავცემდით კლუბს. თანხმობის მიღებიდან მოკლე ხანში კლუბი გავასხვისეთ უსასყიდლოდ, ყველანაირი ზეწოლის გარეშე ბატონი რომან ფიფიას მხრიდან. მეტიც, ჩვენ გვიხარია, რომ ის არ იშურებს ძალ-ღონესა და სახსრებს „დინამოს“ განვითარებისთვის და წარმატებას ვუსურვებთ მას და ჩვენს საყვარელ „დინამოს“. იმედი გვაქვს, ეს განცხადება ბოლოს მოუღებს სპეკულაციებს ჩვენ მიერ „დინამოს“ გასხვისებასთან დაკავშირებით.

# ფაცაცია უკრაინაში ითამაშებს



ევროპული კალათბურთის ვებგვერდი ავრცელებს ინფორმაციას, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების მსუბუქი ფორვარდი ლევან ფაცაცია უკრაინის სუპერლიგის ბინადარ დნიპროძერჟინსკის „დნიპრო აზოტის“ წევრი გახდა.

ფაცაცია საკალათბურთო კლუბ „სოხუმის“ აღზრდილია. თამაშობდა ესპანური კლუბების — „გრან კანარიასა“ (ესპანეთი) და „ბარსელონას“ (ესპანეთი) ასაკობრივ გუნდებში. შემდეგ რამდენიმე წელი აშშ-ის კოლეჯების გუნდში გაატარა.

2010-11 წლების სეზონის საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ფლეი ოფში „სოხუმს“ დაუბრუნდა და მომდევნო სეზონიც იქ გაატარა, ხოლო 2012-13 წლებში კი, უკვე „ოლიმპში“ გადავიდა და გუნდთან ერთად ვერცხლის მედალი, სუპერთასი და მიხეილ ქორქია-ზურაბ საკანდელიძის მემორიალი მოიგო.

ლევანს ქვეყნის ეროვნულ გუნდშიც მუდმივად იწვევენ და 2013 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზეც ითამაშა, სადაც 6 მატჩში მისი საშუალო მონაგარი 1.0 ქულა და 1.8 მოხსნა იყო.

გეტყვით იმასაც, რომ გასულ სეზონში „დნიპრო აზოტმა“ 39 ტურში 11 გამარჯვება იზეიმა და ბოლოსწინა ადგილი დაიკავა.

სწორედ ამიტომ მომავალი სეზონისთვის დნიპროძერჟინსკელებმა ახალ დამრიგებელ ვიქტორ კობზისტის უხმეს. ეს უკანასკნელი ბოლო წლებში კიევის „ბუდიველნიკში“ ჯერ ზვეზდან მიტროვიჩის, შემდეგ კი აინარს ბაგატსკისის თანაშემწედ მუშაობდა.

# ქართველმა ბეისბოლისტებმა ირანელები დაამარცხეს

საქართველოს ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაციის ორგანიზებით თბილისში საქართველოსა და ირანის ისლამური რესპუბლიკის ბეისბოლისტთა ეროვნული ნაკრებების ამხანაგური მატჩების სერია გაიმართა. ქართველი და ირანელი ბეისბოლისტების მონაწილეობით საერთაშორისო მატჩების სერია 27-დან 31 ივლისის ჩათვლით ჩატარდა და ქართველ ბეისბოლისტთა სრული უპირატესობით წარიმართა.

საქართველოს ნაკრებმა მთავარ მწვრთნელ ნუგზარ კაპანაძის ხელმძღვანელობით სამივე შეხვედრაში გაიმარჯვა – 13:5, 15:8 და 21:5. პირველი შეხვედრა სპორტკომპლექს „მერანის“ სტადიონზე გაიმართა, მეორე და მესამე მატჩებს კი თემქაზე მდებარე სპორტკომპლექს „შატილის“ მოედანმა უმასპინძლა.

აღნიშნულ მატჩებს ბეისბოლისა და სოფტბოლის ვეტერანი და მოქმედი სპორტსმენები და მოყვარულები, ბავშვთა კლუბები, ირანული დიასპორის წარმომადგენლები, დიპლომატები. მედიის წარმომადგენლები და სხვა საპატიო სტუმრები ესწრებოდნენ, დასკვნით შეხვედრაზე იმყოფებოდა სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში კონსტანტინე სურგულაძე.

ბეისბოლისა და სოფტბოლის ეროვნული ფედერაცია მომავალშიც გეგმავს საერთაშორისო ტურნირების ორგანიზებას სხვადასხვა ქვეყნების ფედერაციებთან და კლუბებთან თანამშრომლობით, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო სპორტული ურთიერთობების გაღრმავებასა და ბეისბოლისა და სოფტბოლის განვითარებას საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ბეისბოლისა და სოფტბოლის ოლიმპიურ სახეობათა ნუსხაში დაბრუნებას განიხილავს. უახლოეს პერიოდში ქართველი ბეისბოლისტები ირანელთა მიწვევით ირანულ ტურნეში გაემგზავრებიან.

რევაზ შავლაძე, ბეისბოლისა და სოფტბოლის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი:

— ბოლო ხუთ დღეში ნაკრებმა სამი ამხანაგური თამაში ჩაატარა, რაც გუნდს აუცილებლად სასიკეთოდ წაადგება, რადგან საერთაშორისო შეხვედრების ნაკლებობას აშკარად განვიცდით. ირანელებისგან საპასუხო მიწვევაც მივიღეთ და სექტემბერში მათ სტუმრადაც ვეთამაშებით. ბეისბოლისა და სოფტბოლის ეროვნული ფედერაცია მომავალშიც გეგმავს საერთაშორისო ტურნირების ორგანიზებას სხვადასხვა ქვეყნების ფედერაციებთან და კლუბებთან თანამშრომლობით, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო სპორტული ურთიერთობების გაღრმავებას და ბეისბოლისა და სოფტბოლის განვითარებას საქართველოში.

# გია კაზანჯიანი: „მოსამზადებელ პერიოდში 16-წლამდელებმა ყველა დეტალი გამოსცადეს“



საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა ჰოლანდიაში საკონტროლო მატჩები დაასრულა და ბელგიაში გადაინაცვლა, სადაც ქალაქ ლიეჟში საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. გია კაზანჯიანის გუნდმა აქამდე მთლიანობაში 6 ამხანაგური მატჩი გამართა, საიდანაც 4 მოიგო. 16-წლამდელები ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონისთვის ემზადებიან, რომელიც 8-18 აგვისტოს ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში გაიმართება. ევროპირველობას ქართველები კარგად მომზადებულები ხვდებიან. ნაკრების მწვრთნელი გია კაზანჯიანი გუნდის შემართებით კმაყოფილია.

**გია კაზანჯიანი:**

— ჰოლანდიიდან ბელგიაში გადავედით. ვირტიდან ლიეჟამდე საათ-ნახევრის გზაა და ავტობუსით ვიმგზავრეთ. დავბინავდით სასტუმროში და ხვალისთვის ვემზადებით.

***— ჰოლანდიასთან პირველი მატჩი გმირულად მოიგეთ, მეორე კი დიდი სხვაობით დათმეთ.***

— მოგეხსენებათ, პირველ მატჩში ჩვენმა მოთამაშეებმა ტრავმები მიიღეს. გიგი გოგობერიშვილსა და გაციებულ გიორგი ცირეკიძეს მეორე დღეს არ უთამაშიათ, ხოლო ბილი ალიევი და ზურა კერესელიძე მოედანზე რომ შევიყვანე, მათ იქ გაჩერებას აზრი არ ჰქონდა და უმალ უკან გამოვიყვანე. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მოთამაშე გვაკლდა, მესამე პერიოდამდე თანაბარი ბრძოლა მიდიოდა.

***— ბოლო პერიოდი საკმაოდ დიდი სხვაობით წააგეთ.***

— ბოლოს ბიჭები დაიღალნენ. დავით ლომიძე 5 პერსონალურის გამო გავარდა, ტრავმების გამო 4 მოთამაშე გვაკლდა და მთელმა სიმძიმემ დანარჩენებზე გადაიარა. ვილი ისიანი ძალიან დაღლილი იყო და რიგითი ამხანაგურის გამო რატომ უნდა შემექმნა ვინმესთვის საფრთხე. წამყვანი მოთამაშეები გამოვიყვანე და ბოლო მეოთხედში სათადარიგოები ვათამაშე. ჰოლანდიელებმა იგივე არ გააკეთეს, მათმა მწვრთნელმა ბოლომდე ძირითადი ბირთვი დატოვა და დიდი სხვაობითაც ამიტომ დავმარცხდით, რაშიც ტრაგედიას ნამდვილად ვერ ვხედავ.

***— პირველ მატჩში, ბოლო მეოთხედში, 16-ქულიანი ჩამორჩენა გააბათილეთ...***

— 16-ით ვაგებდით, რომ დაიწყო პერიოდი, თუმცა საწყის წუთებში ჩამორჩენა 18-მდე გაიზარდა. 9 წუთში შევძელით ამხელა ჩამორჩენის გაბათილება, რაც ჩვენი გუნდის მებრძოლ ხასიათზე მიანიშნებს.

***— მხოლოდ ბრძოლის ხარჯზე მოახერხეთ იმ უიმედო თამაშის მოგება?***

— ბრძოლა და სათამაშო დისციპლინა, ცოტა იღბალიც. პრესინგზე გადავედით და მეტოქეს 3-4 წუთის განმავლობაში, რომ იტყვიან, თავისი მოედნიდან ბურთი არ გადმოვატანინეთ. ამან მეტი ჟინი მისცა ბიჭებს, რომლებმაც თამაში დამატებით დროში გადაიყვანეს და მიუხედავად იმისა, რომ ოვერტაიმშიც 6 ქულით ვაგებდით, საბოლოოდ გავიმარჯვეთ.

***— უკვე საკმაოდ ბევრი საკონტროლო მატჩი ჩაატარეთ და საბოლოო შემადგენლობა თუ შეარჩიეთ?***

— მართლაც კარგად დავინახე თითოეულის შესაძლებლობა და უკვე ვიცი, რომელ 12 მოთამაშეს წავიყვან ევროპის ჩემპიონატზე. საბოლოო შემადგენლობას თბილისში ჩამოსვლის შემდეგ დავასახელებ.

***— ბელგიაში თამაშების როგორი განრიგი გაქვთ?***

— ჯერ მასპინძლებს ვეთამაშებით, რომელიც ა დივიზიონის წევრია. მეორე დღეს შვეიცარიას ვხვდებით, ბოლოს პორტუგალიას გავეჯიბრებით. დიდი მადლობა კალათბურთის ფედერაციას, ასეთი ნაყოფიერი შეკრების გავლის შესაძლებლობა რომ მოგვცა. საკონტროლო მატჩებში ბიჭებმა ყველაფერი გამოსცადეს. ის დიდი სხვაობით წაგებაც კი, რომელიც ჰოლანდიასთან განვიცადეთ, საჭირო იყო საიმისოდ, რომ მოთამაშეებმა ყველაფერი კარგად აწონ-დაწონონ, ზუსტი დასკვნები გამოიტანონ და მომავალში ნაკლები შეცდომები დაუშვან.

***— დაბოლოს, ტრავმირებულებზე გკითხავთ.***

— ცირეკიძეს სიცხე აღარ აქვს, კერესელიძე, გოგობერიშვილი და ალიევიც უკეთესად არიან და, თუ პირველივე მატჩში არა, ბელგიის ტურნირზე დასკვნით შეხვედრებში ითამაშებენ.

# ფუტსალში აურზაური გრძელდება

როგორც უკვე ვწერდით, საქართველოს ფუტსალის ასოციაციის კონფერენციის დელეგატებმა ორგანიზაციის პრეზიდენტი ლევან ცქიტიშვილი პოსტიდან გადააყენეს. მასვე თან „გააყოლეს“ ბექა კვიციანი (გენერალური მდივანი) და კახა დევდარიანი (საპატიო პრეზიდენტი). მათი ადვოკატის ნინო ნიშნიანიძის განცხადებით, ეს ყველაფერი დარღვევით მოხდა.

**ნინო ნიშნიანიძე:**

— ჩემი კლიენტების გადაყენება კანონდარღვევით არის ჩატარებული და მიღებული გადაწყვეტილებები იურიდიული ნონსენსი და კურიოზია. საქართველოს ფუტსალის ასოციაციის წესდების მიხედვით, სფა-ს უმაღლესი ორგანოა კონფერენცია, მაგრამ არსებობს კონფერენციის მოწვევის ვადა და უფლებამოსილების ფარგლები. ეს წესი დარღვეულია. ამას გარდა, წევრებისა და საპატიო წევრებისთვის გონივრულ ვადაში არ უცნობებიათ კონფერენციის გამართვის დრო და ადგილი. არ აცნობეს ასოციაციის ხელმძღვანელებსაც — პრეზიდენტს, საპატიო პრეზიდენტს, გენერალურ მდივანსა და სამიდან არც ერთ ვიცე-პრეზიდენტს. ასევე დარღვეულია დელეგატთა რაოდენობის და კვოტის განსაზღვრისა და გამოქვეყნების სამთვიანი ვადა, რომელიც დებულებით მკაცრად არის რეგლამენტირებული. ამდენად, კანონდარღვევით მოწვეულ კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებები უკანონოა.

ამ ყველაფერთან დაკავშირებით საგანგებო პრესკონფერენციაზე სფა-ს გამგეობის წევრმა გიორგი დარჯანიამ ორგანიზაციის ხელმძღვანელებს კონკრეტული ბრალდებები წაუყენა.

**გიორგი დარჯანია:**

— რამდენიმე კითხვა მაქვს იმ ხალხთან, ვინც ამბობს, რომ არალეგიტიმური არჩევნები ჩავატარეთ. რა ქვითრები აქვთ წარდგენილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში? რას ნიშნავს, სახელმწიფო ბიუჯეტს არ წარუდგინო ხარჯვის დოკუმენტაცია? ვის პირად ანგარიშებზე ჩაირიცხა სასპონსორო თანხა? სად გაქრა საქართველოს თასის ჩასატარებელი თანხა? რაში დაიხარჯა ჩემპიონატში მონაწილე გუნდების მიერ შეტანილი სამონაწილეო თანხა? რატომ თქვეს მსაჯებმა უარი ჩემპიონატის მომსახურებაზე? რაში დასჭირდათ 15.800 ლარი, რომელიც სპორტის სამინისტრომ სფა-ს გადაურიცხა? რატომ არ წარმოგვიდგინეს პორტუგალიაში, მალტაში, აზერბაიჯანსა და ჰოლანდიაში ეროვნული ნაკრების გამოსვლის ხარჯთაღრიცხვა? რატომ ეძინა ჰოლანდიაში ეროვნული ნაკრების ექიმს სამასაჟო მაგიდაზე? რატომ არ გაეცა ამ კითხვებზე პასუხი ასოციაციის გამგეობას? რატომ დაირღვა უხეშად უეფას კანონი და რატომ აარიდეს თავი ყოველწლიურ სავალდებულო კონფერენციას? უბრალოდ, წარმოუდგენელია, როგორ იხარჯებოდა სახელმწიფო სახსრები.

***— სად დაიკარგა სასპონსორო თანხა?***

— მე არ ვიცი, თავად კი განმარტებებს არ აკეთებენ. არადა, ის ნამდვილად ვიცით, რომ თანხა ჩაირიცხა.

***— თქვენმა ოპონენტებმა თქვეს, რომ ამ საკითხს ფეხბურთის ფედერაციის ბუღალტერთან გაარკვევენ.***

— ამას ამბობენ უკვე შვიდი თვეა და აქამდე რატომ ვერ გაარკვიეს? ფეხბურთის ფედერაცია უკვე მოითხოვს, რომ ეს სახსრები დააბრუნონ, რადგან ის სახელმწიფო ფულია.

***— მათ ეჭვქვეშ დააყენეს ყრილობის ლეგიტიმურობაც, გამგეობის წევრები და ხელმძღვანელები არ გააფრთხილესო.***

— ყრილობა უნდა წაიყვანოს პრეზიდენტმა ან ვიცე-პრეზიდენტებმა, მაგრამ, ასეც რომ არ მოხდეს, დებულებაში ამაზე არაფერი წერია. უბრალოდ, მათ არ სურთ, რომ ფინანსური ანგარიში წარადგინონ და ყრილობაზე ამიტომ არ გამოცხადდნენ. ყრილობა კი ლეგიტიმურად ჩატარდა.

***— მაშინ რატომ არ დაარეგისტრირა ყრილობის გადაწყვეტილებები საჯარო რეესტრმა?***

— არანაირი კითხვა არ გაჩენილა ყრილობის მოწვევის წესის, კვორუმისა და დელეგატების შესახებ. გადაწყვეტილებები კი რეესტრმა იმიტომ არ დაარეგისტრირა, რომ უმნიშვნელო ხარვეზია გამოსასწორებელი.

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| აპოელი-მარიბორი | 1:1 |
| მიოლდე-ლეგია | 1:1 |
| ლეგიას გოლი ვლადიმერ დვალიშვილმა გაიტანა | |
| ლუდოგორეცი-პარტიზანი | 2:1 |
| ზალცბურგი-ფენერბახჩე | 1:1 |
| სელტიკი-ელფსბორგი | 1:0 |
| **ფინეთი. ვეიკაუსლიგა** | |
| ვპს-ლახტი | 0:3 |

## შედეგები

| | |
|---|---|
| ჯჯკ-იარო | 0:0 |
| **ბრაზილია. სერია ა** | |
| ატლეტიკო(მ)-ატლეტიკო(პ) | 1:2 |
| პორტუგეზა-კრისიუმა | 1:1 |
| ფლუმინენსე-კრუზეირო | 1:0 |
| კურიტიბა-პონტე პრეტა | 5:3 |
| კორინთიანსი-გრემიო | 2:0 |
| ბაია-ფლამენგო | 3:0 |

# მიგინეიშვილი — „დინამოში“, ხიდეშელი — „ტორპედოში“

თბილისის „დინამოში“ საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი, 29 წლის მეკარე ომარ მიგინეიშვილი ჩაირიცხა. გუშინ მიგინეიშვილმა დიღმის საწვრთნელ ბაზაზე პირველად ივარჯიშა.

**ომარ მიგინეიშვილი:**

— ძალიან კმაყოფილი ვარ, პირველი რიგში იმით, რომ გადმოვედი თბილისის „დინამოში“. იცით, საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და ყველა ფეხბურთელის ოცნებაა, რომ აქ ითამაშოს. რაც შეეხება ბაზასა და პირობებს, იდეალურადაა ყველაფერი გაკეთებული. „დინამოში“ გადმოსვლა წინგადადგმული ნაბიჯია და ვეცდები, ყველაფერი გავაკეთო იმისთვის რომ თანდათან კიდევ უფრო მოვუმატო და ვითამაშო. თბილისის დინამოს ძალიან კარგი, ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე ჰყავს საქართველოში, გიორგი ლორია, მაგრამ მე არ დავაკლებ ჩემსას და რაც იქნება, ვნახოთ მერე.

ქუთაისის „ტორპედოში“ კი 25 წლის ცენტრალური მცველი გიორგი ხიდეშელი ჩაირიცხა, რომელმაც გუნდთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ქართველი გულშემატკივრებისთვის საკმაოდ ნაცნობმა ფეხბურთელმა პროფესიონალური კარიერა საფეხბურთო კლუბ „თბილისში“ დაიწყო, 2004 წელს კი, როდესაც „ზესტაფონი“ დაარსდა, ზემოიმერულ გუნდში გადავიდა და დღემდე ამ კლუბში ირიცხებოდა. უთამაშია ეროვნულ ნაკრებში, ასევე იყო საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების წევრიც, ბოლოს კი ტრავმის გამო არცთუ ისე მცირე პერიოდი გაუცდა.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების შესარჩევი საბჭო დამტკიცებულია

ეკა ირემაშვილი

**სახელმწიფო პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭოს შემადგენლობა დამტკიცებულია. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ გურამ ოდიშარიას №03/119 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭო, შემდეგი შემადგენლობით: ვასილ კიკნაძე (თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სრული პროფესორი, კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის სახელობის პრემიების ლაურეატი); ნოდარ გურაბანიძე (თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე); გიორგი ცქიტიშვილი (თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი); ნიკოლოზ წულუკიძე (თეატრმცოდნე, საქართველოს თეატრის კრიტიკოსთა კავშირის პრეზიდენტი); ლაშა ჩხარტიშვილი (თეატრმცოდნე, ილიას უნივერსიტეტის თანამედროვე თეატრის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი); ირინა ღოღობერიძე (თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს სექციის პრეზიდენტი); მარინე (მაკა) ვასაძე (თეატრმცოდნე, კავშირ „კულტურის" დამფუძნებელი).**

კულტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია:

„სარეკომენდაციო საბჭოს მიზანია კონკურსის გზით, სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შერჩევა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრისთვის წარდგენა და პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი".

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, „პროფესიული თეატრების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, კანდიდატურების მიღება 12 ივლისს გამოაცხადა:

„სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭოს შესაქმნელად

საბჭოს მიზნები და ამოცანები – კონკურსის გზით, სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შერჩევა; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრისთვის კანდიდატთა დასანიშნად წარდგენა; სახელმწიფო პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი.

საბჭო შედგება 7 წევრისგან, რომელთაც ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრი;

საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადაა 4 წელი;

საბჭოს წევრი უნდა იყოს თეატრმცოდნე, რომელსაც გააჩნია შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია ან მრავალწლიანი თეატრალური საქმიანობის გამოცდილება.

საბჭო სამინისტროს სისტემაში შემავალი პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატთაგან კონკურსის საფუძველზე შეარჩევს შესაბამის კანდიდატს და დასანიშნად წარუდგენს მინისტრს;

საბჭო უფლებამოსილია, სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატები შეარჩიოს იმ თეატრებშიც, რომელთა სამხატვრო საბჭოები მინისტრს დასანიშნად წარუდგენენ სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატებს;

კანდიდატთა გამოსავლენად საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით;

საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება 4 წევრი მაინც;

ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი;

საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე საბჭოს ყველა წევრი;

საბჭოს არ ჰყავს თავმჯდომარე. საბჭოს სხდომებს წარმართავს სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი.

სამინისტროში საბჭოს წევრობის კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ თეატრის სფეროში მოქმედ ორგანიზაციებს;

საბჭოს წევრობის კანდიდატი უნდა იყოს თეატრმცოდნე, რომელსაც გააჩნია შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია, ან მრავალწლიანი თეატრალური საქმიანობის გამოცდილება.

ცალკეული ორგანიზაცია უფლებამოსილია, სამინისტროს წარუდგინოს მაქსიმუმ 5 (ხუთი) კანდიდატი. ერთი და იგივე კანდიდატი შეიძლება წარდგენილი იყოს სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ. საბჭოს შემადგენლობაში, კანდიდატთა საერთო სიიდან, შევა ის პირველი 7 (შვიდი) კანდიდატი, რომლებიც, წარდგენის შედეგად, მიიღებენ თეატრის სფეროში მოქმედი ორგანიზაციების ხმების უმრავლესობას (ერთი წარდგინება – ერთი ხმა);

ხმათა თანაბარი რაოდენობის დაგროვების შემთხვევაში საბჭოს დაკომპლექტების მიზნით კანდიდატებს შეარჩევს მინისტრი;

საბჭოს წევრის/წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში საბჭოს შემადგენლობა შეივსება ხმების უმრავლესობის მქონე მომდევნო კანდიდატით/კანდიდატებით.

კანდიდატთა წარსადგენად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია:

თეატრის სფეროში მოქმედი ორგანიზაციის წერილობითი წარდგინება ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით;

კანდიდატის სივი (საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით);

კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი. კანდიდატურების წარსადგენად დოკუმენტაცია მიიღება 18 ივლისის ჩათვლით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში" – აღნიშნულია კულტურის სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

კულტურის სამინისტრომ უკვე გამოაცხადა კონკურსი მისი მმართველობის სფეროში შემავალი პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შესარჩევად. როგორც ოფიციალურ განცხადებაშია აღნიშნული:

„კონკურსი ცხადდება შემდეგ პროფესიულ სახელმწიფო თეატრებში: სსიპ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სსიპ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სსიპ თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სსიპ თბილისის მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სსიპ თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრი; სსიპ ჩრდილების სახელმწიფო თეატრი „აფხაზეთი"; სსიპ თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ თბილისის ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ ახალციხის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სსიპ ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ ქუთაისის ბალანჩივაძეების სახელობის ოპერის სახელმწიფო თეატრი და მუსიკალური დარბაზი; სსიპ ქუთაისის ი. გოგებაშვილის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრი; სსიპ ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ ზესტაფონის უ. ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი; სსიპ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი; სსიპ ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრი; სსიპ გურჯაანის თოჯინების სახელმწიფო თეატრი; სსიპ დმანისის ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი.

„პროფესიული სახელმწიფო თეატრების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „სამხატვრო ხელმძღვანელი უნდა იყოს უმაღლესი სახელოვნებო განათლების მქონე პირი, პროფესიით რეჟისორი ან მსახიობი, ოპერისა და ბალეტის თეატრში პროფესიით დირიჟორი ან უმაღლესი სამუსიკო განათლების მქონე სხვა პირი, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში სახელოვნებო გამოცდილების, აღიარების, თვალსაჩინო დამსახურების მქონე პირი.

სამხატვრო ხელმძღვანელი არის თეატრის საერთო ხელმძღვანელი; პასუხისმგებელია თეატრის საერთო საქმიანობაზე; განსაზღვრავს საშტატო ერთეულების რაოდენობას, სახელფასო განაკვეთსა და თეატრალური საქმიანობის წახალისების ფორმებს საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით; თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის წევრებთან დებს შრომით ხელშეკრულებებს არაუმეტეს 4 წლის ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მისი უფლებამოსილების ვადის გასვლიდან 6 თვეს. 4 წელზე მეტი ვადის შემთხვევაში სამხატვრო ხელმძღვანელი შრომით ხელშეკრულებებს დებს მინისტრთან შეთანხმებით; საჭიროების შემთხვევაში მოწვეულ სპეციალისტებთან დებს შრომით ხელშეკრულებებს შესაბამისი ვადით; უზრუნველყოფს რეჟისორის (რეჟისორების) მოზიდვასა და დასაქმებას თეატრის შემოქმედებითი ზრდის, რეპერტუარის მრავალფეროვნებისა და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის მიზნით; უზრუნველყოფს მსახიობთა შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას და მათ პროფესიულ ზრდას; ხელმძღვანელობს სამხატვრო საბჭოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში); თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავარ რეჟისორს, მთავარ დირიჟორს, მთავარ ბალეტმაისტერს, მთავარ ქორმაისტერს, მთავარ მხატვარს; თეატრის დირექტორთან ერთად წყვეტს ადმინისტრაციულ-ტექნიკურ და ფინანსურ საკითხებს; შეუძლია მოახდინოს ცალკეული უფლებამოსილებების დელეგირება თეატრის დირექტორზე (უფლებამოსილების დელეგირება სამხატვრო ხელმძღვანელს არ ათავისუფლებს თეატრის საერთო საქმიანობაზე პასუხისმგებლობისაგან)."

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ თეატრალური და მუსიკალური (ოპერისა და ბალეტის თეატრის შემთხვევაში) საქმიანობით დაკავებულ იურიდიულ პირებს (ორგანიზაციებს), რომელთაც გააჩნიათ საქმიანობის არანაკლებ ხუთწლიანი გამოცდილება და თეატრალური, ან მუსიკალური (ოპერისა და ბალეტის თეატრის შემთხვევაში) საქმიანობით დაკავებული პირებისგან შემდგარ საინიციატივო ჯგუფებს არანაკლებ ხუთი წევრის შემადგენლობით.

ცალკეულ საინიციატივო ჯგუფს და თეატრალური, ან მუსიკალური საქმიანობით დაკავებული იურიდიული პირებიდან პროფესიულ სახელმწიფო თეატრებს აქვთ მხოლოდ თითო კანდიდატურის, ხოლო სხვა იურიდიულ პირებს არაუმეტეს სამი კანდიდატურის წარდგენის უფლება არაუმეტეს სამ სხვადასხვა თეატრში (ცალკეულ თეატრში მხოლოდ ერთი კანდიდატურის).

ერთი და იგივე პირი შეიძლება წარდგენილ იქნეს რამდენიმე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატად.

კონკურსში მონაწილეობისათვის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია: წარდგინება მინისტრის სახელზე; კანდიდატის მიერ შედგენილი კონკრეტული თეატრის განვითარების ოთხწლიანი პროგრამა (2-5 გვერდზე); კანდიდატის ვრცელი შემოქმედებითი სივი თუ კანდიდატი პროფესიით რეჟისორი ან დირიჟორია, ბოლო პერიოდში განხორციელებული დადგმების ჩამონათვალი, ამონარიდები რეცენზიებიდან;

კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის, ან პასპორტის ასლი; კანდიდატის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) ასლი;

კანდიდატის ფოტოსურათი. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ორ ეგზემპლარად და, ასევე, ელექტრონულად.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭო წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეარჩევს შესაბამის კანდიდატებს და დასანიშნად წარუდგენს მინისტრს.

საბჭო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, ცალკეულ კანდიდატთან გამართოს გასაუბრება.

საბჭოს წევრებს არა აქვთ კანდიდატთა წარდგენის და საინიციატივო ჯგუფებში მონაწილეობის უფლება.

ოპერისა და ბალეტის თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელთა კანდიდატურების შერჩევისას საბჭო უფლებამოსილია, იხელმძღვანელოს მუსიკალური ხელოვნების დარგში მინისტრის მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციებით.

საკონკურსო დოკუმენტაცია მიიღება 2013 წლის 16 აგვისტოს ჩათვლით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში", – აღნიშნულია კულტურის სამინისტროს განცხადებაში.

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 2. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 3. გასართობად შეთხზული მოკლე სასაცილო ამბავი; 4. ჭორების, პანიკური ინფორმაციის გამავრცელებელი ადამიანი; 5. მატლის, მღრღნელი ჭიების ძველი ქართული სახელწოდება; 6. მგალობელი ჩიტი; 8. „ბითლზის" ერთ-ერთი წევრი; 11. სამეფო კვერთხი; 14. ქართველი მხატვარი ქალი; 15. ქვიშიანი უდაბნო შუა-აზიაში; 16. სამონასტრო კომპლექსი გურიაში; 17. ვაჭართა წოდებრივი თანრიგი ქონების რაოდენობის მიხედვით ძველად; 19. ბრიტანული ნამცხვარი; 21. მდინარე რომში; 22. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი.

**თარაზულად**: 1. ფოლადის კარკასი რკინა-ბეტონის კონსტრუქციაში; 5. კათოლიკური მღვდელთმსახურება; 7. ბადმინტონის სათამაშო ბურთი; 9. ჟურნალისტების ოფიციალური დაშვება რაიმე ღონისძიებაზე; 10. მტრის ზურგში გადასხმული სპეციალური დანიშნულების სამხედრო შენაერთი; 12. შტატი აშშ-ში; 13. შენობის ფასადის მოპირკეთება უხეშად დამუშავებული ზედაპირის მქონე ქვებით; 16. ისტორიული ციხე-ქალაქი ზესტაფონის მახლობლად; 17. ტურისტთა მეგზური; 18. უძველესი ქართული სამეფო; 20. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 22. გერმანული მეტალურგიულ-მანქანათმშენებელი კონცერნი; 23. იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის" ფეხბურთელი; 24. მდინარე დასავლეთ საქართველოში; 25. სამკითხაო ქვიშა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მურილიო; 2. დრამი; 3. გრეიდერი; 4. ენეიდა; 5. მატრიცა; 6. ლიგნიტი; 11. ატენი; 13. ვესპუჩი; 14. ზინგშპილი; 15. ბარომეტრი; 17. რეგატა; 18. სკუნსი; 19. იედო.

**თარაზულად;** 7. გუჯარი; 8. ბრანდვახტი; 9. აილამა; 10. ცილინდრი; 12. კონვერტორი; 14. ზღარბი; 16. ქრისტინე; 18. სენატორი; 20. გუაში; 21. ომი; 22. ჩანჩქერი; 23. ხაჭო; 24. მოტოციკლი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. აპენინი; 3. ბეისბოლი; 4. ინვესტორი; 5. პოლკი; 6. ელარჯი; 8. ელენთა; 11. სიმბოლო; 14. სტალაგმიტი; 15. კვარიათი; 16. როზარიუმი; 17. კომცია; 19. რომანსი; 21. ჯიხვი; 22. ფხოვი.

**თარაზულად;** 1. ჰამბურგი; 5. პელე; 7. ვასაკა; 9. ბერიტაშვილი; 10. ამსტელი; 12. აჯამეთი; 13. პრობსტი; 16. რელიქვია; 17. კილი; 18. წრუტო; 20. ფლაგმანი; 22. ფიატი; 23. მასტიფი; 24. უცნობი; 25. ვოლტი.

## „სერებრო" ბათუმში იმღერებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

თავდაპირველად ჯგუფში მარინა ლიზორკინა ირიცხებოდა, თუმცა მისი წასვლის შემდეგ, იგი ანასტასია კარპოვამ შეცვალა. ოლგა სერიაბკინა არა მარტო მომღერალია, არამედ ჯგუფის რეპერტუარში შემავალი სიმღერების ტექსტების ავტორიცაა. „სერებრო" პირველად ფართო საზოგადოების წინაშე 2007 წლის ევროვიზიაზე გამოჩნდა, სადაც მესამე ადგილი დაიკავა. ჯგუფის გამოცემული აქვს ორი ალბომი, 9 რადიოსინგლი და მათგან 4 რუსული რადიოჩარტების ლიდერობას არავის უთმობდა. მათი რადიოსინგლები პოპულარული გახდა არა მარტო რუსეთში, არამედ დანიაში, შვეიცარიაში, ლატვიაში, დიდ ბრიტანეთში, შვედეთში.

გოგონები არაერთი პრესტიჟული ჯილდოს მფლობელები არიან, მათ შორისაა „ოქროს გრამაფონი", რომელიც ჯგუფმა სამჯერ მიიღო და ნომინაცია „წლის სიმღერა". ურსული ემთივის დაჯილდოების ცერემონიალზე ჯგუფი საუკეთესოდაც აღიარეს.

„სერებრო" დაარსებისთანავე ბევრს მოგზაურობს და კონცერტებს მართავს არა მარტო რუსეთის ქალაქებში, ასევე მეზობელ ქვეყნებსა და ევროპაშიც. მათ შემოქმედებას ბევრს აკრიტიკებენ, თუმცა ეს სულაც არ უშლის ხელს გოგონებს, კიდევ უფრო მეტად სკანდალური და სექსუალური ხრიკები მოიგონონ, რათა მათი ფანების რაოდენობა კიდევ უფრო გაზარდონ. ამჯერად ისინი საქართველოში ჩამოსასვლელად ემზადებიან. ნაცნობ ქვეყანას გოგონები ამჯერად არა დედაქალაქში, არამედ აჭარაში ესტუმრებიან და 4 აგვისტოს მათი გულშემატკივრებისთვის საგანგებო კონცერტსაც გამართავენ, რომელზეც როგორც სრულიად ახალი, ასევე ძველი და ყველასთვის კარგად ნაცნობი ჰიტები შესრულდება. ჯგუფის წევრების თქმით, ისინი კონცერტზე მისულ საზოგადოებას სიურპრიზებსაც სთავაზობენ და ბათუმის პიაცაზე შეკრებილებს არაერთი მოულოდნელობის მხილველებსაც გახდიან.

# მოსკოვიდან 1 500 არალეგალის დეპორტაცია განხორციელდება



მიგრანტები ვიეტნამიდან, ეგვიპტიდან, მაროკოდან, სირიიდან, ყირგიზეთიდან, აზერბაიჯანიდან და უზბეკეთიდან, რომლებიც მცირე ხნის წინ მოსკოვში დააკავეს, მობილურ ბანაკში მოათავსეს.

1,5 ათასი მიგრანტი იქ მანამდე დარჩება ვიდრე არ იქნება მიღებული გადაწყვეტილება მათი დეპორტაციის შესახებ. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, მიგრანტების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მედიკოსები იზრუნებენ. ასევე გაკონტროლდება სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა. მოხდება მათი საკვებით უზრუნველყოფაც.

მოსკოვი რუსეთის მოსახლეობის რაოდენობით უდიდესი და ევროპულ ნაწილში მდებარე ყველაზე დასახლებული ქალაქია. მისი აგლომერაცია 15 მილიონამდე მუდმივი მოსახლით, აგრეთვე უდიდესია რუსეთსა და ევროპაში.

მოსკოვის მოსახლეობის რაოდენობამ 2002 წლის აღწერის მონაცემებით შეადგინა 10 382 754 კაცი. მიმდინარე სტატისტიკური ანგარიშის ოფიციალური მონაცემებით, ქალაქის მოსახლეობამ 2012 წლის 1 სექტემბრისათვის შეადგინა 11 911 100 კაცი. 2010 წლის აღწერის წინასწარი შედეგებით, 2010 წლის ოქტომბრისათვის 11 643 060 კაცი მუდმივად ცხოვრობს მოსკოვში, ხოლო 30 000 დროებით იმყოფება დედაქალაქში. 1 200 000-მა მოსკოველმა სხვადასხვა მიზეზით უარი განაცხადა აღწერაში მონაწილეობაზე.

ფედერალური მიგრაციის სამსახურის სამმართველოს განცხადებით, მოსკოვში მუდმივი რეგისტრაცია გააჩნია 9 060 000 კაცს, დროებითი რეგისტრაცია – 1 100 000 კაცს, მიგრაციულ აღრიცხვაზე დგას 340 000 უცხოელი. „ფმსს-ის" სპეციალისტების შეფასებით, 600-დან 800 ათასამდე რუსეთის მოქალაქე, ფედერაციის საიმიგრაციო სამსახურში რეგისტრაციის გარეშე ცხოვრობს მოსკოვში.

მოსახლეობის ოფიციალური მონაცემები მოიცავს მხოლოდ ქალაქის მუდმივ მაცხოვრებლებს. მოსკოვის „ფმს-ის" მონაცემების თანახმად, ქალაქში დარეგისტრირებულია კიდევ 1 მილიონ 800 ათასი ჩამოსული (სამუშაო მიგრანტები და გასტარბაიტერები, სტუდენტები და სხვ.), აგრეთვე ექსპერტთა შეფასებით, მუდმივად ცხოვრობს 1 მილიონამდე დაურეგისტრირებელი, არალეგალი მიგრანტი და გასტარბაიტერი, მათ შორის არალეგალი იმიგრანტებიც.

მოსკოვის მოსახლეობის მუდმივი ზრდა ძირითადად გამოწვეულია მოსახლეობის ნაკადით სხვადასხვა რეგიონებიდან. ეს არის შიდა მიგრაცია, რომელსაც საბჭოთა პერიოდში „ლიმიტიანებს" ეძახდნენ.

მოსკოვის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 2002 წლის აღწერის მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება: რუსები – 9 930 410 (91,65 %), უკრაინელები – 154 104 (1,42 %), თათრები – 149 043 (1,38 %), სომხები – 106 466 (0,98 %), აზერბაიჯანელები – 57 123 (0,53 %), ებრაელები – 53 142 (0,49 %), ბელარუსები – 39 225 (0,36 %), ქართველები – 38 934 (0,36 %), პირები, რომელთაც არ მიუთითეს ეროვნება – 668 409 (5,81 %).

მოსკოვში ეთნიკური რუსების პროცენტი აჭარბებს რუსეთის საშუალო მაჩვენებელს (80%), აგრეთვე სომხებისა და ებრაელების მაჩვენებელიც უფრო მაღალია რუსეთის საშუალო მაჩვენებელზე (0,78 % და 0,16 % შესაბამისად). რუსების წილი გაიზარდა 1989 წლის აღწერის შემდეგ, როდესაც მათი მაჩვენებელი 89,7 %-ს შეადგენდა.

# ისრაელი პალესტინელებთან მოლაპარაკებებით კმაყოფილია

ისრაელის იუსტიციის მინისტრი ციპი ლივნი აცხადებს, რომ კმაყოფილია წლების განმავლობაში შეწყვეტილი და ახლახანს განახლებული პირდაპირი მოლაპარაკებების პირველი რაუნდით პალესტინელებთან. მოლაპარაკებები ვაშინგტონში გაიმართა. ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი" ავრცელებს.

აშშ-დან ისრაელში დაბრუნებულმა ლივნიმ აღნიშნა, რომ მოლაპარაკებების დროს იგრძნობოდა იმედი. მისი აზრით, ორივე მხარე სერიოზულად არის განწყობილი ყველა საკითხის განსახილველად.

თავის მხრივ, მაღალჩინოსანმა პალესტანელმა პოლიტიკოსმა ხანან აშრავიმ განაცხადა, რომ რჩება კითხვა გამოიყენებს თუ არა ისრაელი მოლაპარაკებების ცხრა თვეს იმისათვის, რომ მიიერთოს მეტი ტერიტორია თუ მშვიდობის ერთგულების დემონსტრირებას მოახდენს.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ განაცხადა, რომ ისარაელისა და პალესტინის დელეგაციებმა თანხმობა განაცხადეს მოლაპარაკებათა პროცესი კიდევ ცხრა თვე გააგრძელონ. მისივე თქმით, ამ პერიოდის განმავლობაში მხარეები შეთანხმების „ფინალურ სტადიამდე" უნდა მივიდნენ.

ისრაელის პარლმენტში კი, 14 წლის განმავლობაში პირველად დადგეს პალესტინის ავტონომიის დროშა– 31 ივლისს ქნესეთში პალესტინის ავტონომიის წარმომადგენლები ისრაელის მინისტრებსა და პარლამენტის წევრებს შეხვდნენ.

პალესტინელი პოლიტიკოსის აბდულა აბდულას თქმით, მასზე ძალიან იმოქმედა ერთად პალესტინისა და ისრაელის დროშების ხილვამ. მისი აზრით, სამშვიდო პროცესის საწყის ეტაპზე ეს შესაფერისი ნაბიჯი იყო.



აბდულ აბდულამ ისრაელ პოლიტიკოსებს პალესტინის პარლამენტში მაჰმუდ აბასის საპასუხო მიპატიჟება გადასცა. როგორც „იერუსალიმ პოსტი" აღნიშნავს, აბდულას თქმით, პალესტინის პარლამენტში ისრაელელი სტუმრების მიღებისას ამ ქვეყნის დროშას აღმართავენ. ისრაელის მხარე ამ ვიზიტით დაინტერესდა და ახლა მისი რეალიზებაზე იწყებს მუშაობას.

აღნიშნული შეხვედრის ერთ-ერთი ორგანიზატორი ორგანიზაცია „ვან ვოისი" იყო, რომელიც დასავლეთ ნაპირზე არაბული სახელმწიფოს შექმნას უჭერს მხარს. უკანასკნელად პალესტინის დროშა ქნესეთში 1999 წელს აღმართეს, როდესაც ყოფილმა სპიკერმა აბრაამ ბურგმა მისი პალესტინელი კოლეგა აჰმედ კურეი მიიღო.

# აშშ-მ სნოუდენის მიერ გამჟღავნებული პროგრამის დოკუმენტები გამოაქვეყნა



აშშ-ის ხელისუფლებამ გამოაქვეყნა სატელეფონო ზარების მოსმენის პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტები, რომლის შესახებაც ინფორმაცია ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილმა თანამშრომელმა ედვარდ სნოუდენმა გაასაჯაროვა.

ამერიკული მხარე ამ ჟესტს სპეცსამსახურების საქმიანობის უფრო მეტი გამჭირვალეობის სურვილს უკავშირებს.

„ვფიქრობ, ეს სწორი გადაწყვეტილებაა. ეს შესაძლებელს გახდის ყველამ ნახოს რის გაკეთებას ვცდილობთ და როგორ ვცდილობთ", – განაცხადა ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ხელმძღვანელმა კიტ ალექსანდერმა.

ამავე დროს, გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან ამოღებულია საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც კვლავინდებურად საიდუმლოდ ითვლება.

პარალელურად ბრიტანულმა გამოცემა „გარდიანმა" გამოაქვეყნა აშშ-ის სპეცსამსახურების საქმიანიბის ახალი ფაქტები, რომელიც გაზეთს ასევე ედვარდ სნოუდენმა გაუმხილა. მან გაზეთს პროგრამა „იქსქეისორზე" მოუყვა.

სნოუდენის მონაცემებით, პროგრამა შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს ინტერნეტმომხმარებლის საქმიანობის სრული კონტროლი.

ამ ფონზე, ვებგვერდმა „ვიკილიქსმა" თვითერის მიკრობლოგზე დაწერა, რომ ხუთშაბათს ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი თანამშრომელი ედვარდ სნოუდენი ბრედლი მენინგის საქმესთან დაკავშირებით განცხადებას გააკეთებს: „ედვარდ სნოუდენი მენინგის ვერდიქტთან დაკავშირებით მნიშვნელოვან განცხადებას გააკეთებს".

ბრედლი მენინგი, რომელიც ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ანალიტიკოსი იყო და რომელმაც ვებგვერდ „ვიკილიქსს" ამერიკის ათასობით საიდუმლო დოკუმენტი გადასცა, ცოტა ხნის წინ ამერიკის სამხედრო სასამართლომ ყველა ბრალდებით ცნო დამნაშავედ, გარდა ყველაზე სერიოზულისა, რომელიც მტერთან თანამშრომლობას გულისხმობდა.

„ვიკილიქსის" დამაარსებელმა ჯულიან ასანჟმა, მენინგის ვერდიქტს უკვე უწოდა „საშიში პრეცედენტი".

ედვარდ სნოუდენი კი რომელმაც ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს საიდუმლო პროგრამა გამოამჟღავნა, 23 ივნისიდან მოყოლებული მოსკოვში შერემეტიევოს აეროპორტის სატრნაზიტო ზონაში იმყოფება და რუსეთისაგან დროებითი თავშესაფრის მინიჭებას ელის.

# ასადი ამბოხებულების დამარცხებაში დარწმუნებულია

სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ალ-ასადმა ხუთშაბათს განაცხადა, რომ ამბოხებულების წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვებაში დარწმუნებულია. 2011 წლის მარტში ქვეყანაში დაწყებულ კონფლიქტს 100 000 ადამიანზე მეტი ემსხვერპლა; ორი მილიონი ადამიანი კი ლტოლვილად იქცა.

„ჩვენ გამარჯვებაში დარწმუნებულები რომ არ ვიყოთ, მტერთან წინააღმდეგობის გაწევის და ბრძოლის ძალაც არ გვექნებოდა",-განაცხადა პრეზიდენტმა, რომელის სიტყვებსაც სააგენტო „სანა" ავრცელებს. ასადი მის წინააღმდეგ ამბოხებას საერთაშორისო ძალების „შეთქმულებას" უწოდებს.

სირიის არმიის შექმნის 68-ე წლისთავთან დაკავშირებით ოფიცრების წინაშე გამოსვლისას პრეზიდენტმა ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ჯარისკაცების სიმამაცეს გუსვა ხაზი, მეამბოხეებს კი ომის დანაშაულში დასდო ბრალი.

თურქული გამოცემების ინფორმაციით კი, სირიის საზღვართან თურქეთის არმია მაღალი სამხედრო მზადყოფნის რეჟიმზეა გადასული, რაც თურქეთის სასაზღვრო რაიონებში არსებული რეალური საფრთხიდან გამომდინარე მოხდა. სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთით უკვე ორი კვირაა ბრძოლები მიმდინარეობს ქურთ მილიციელებსა და ექსტრემისტური დაჯგუფების შეიარაღებულ მებრძოლების შორის, რომლებსაც „ალ ქაიდასთან" აქვთ კავშირი.

თვითმხილველების ინფორმაციით, იმ ადგილებს სადაც ბრძოლები მიმდინარეობს, ასობით ადგილობრივი ტოვებს. თურქეთ-სირიის საზღვარზე ყოველდღე რამდენიმე საათის განმავლობაში გამანადგურებლები პატრულირებენ. ისინი თურქეთის აეროპორტებიდან მოფრინავენ, მათ შორის ქალაქ დიარბექირიდან.



როგორც თურქული მედიასაშუალებები აღნიშნავენ, უკანასკნელი დღეების განმავლობაში ქვეყნის სირიის საზღვართან მდებარე რაიონების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით პრემიერმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა მინისტრთა კაბინეტი ორჯერ შეკრიბა. როგორც ცნობილია, თურქეთ-სირიის საზღვრის უკეთ დაცვისათვის ნატომ ამ ქვეყანაში „პეტრიოტებიც" განალაგა.

*მოამზადა გვრა მამულაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები



შვილები ლალი, თამარი, სიძეები ოთარ ქარქოსაშვილი, ილო სესიაშვილი, გიორგი ომიაძე, ლევან ეპიტაშვილი, გურამ ქაჯაია, თემურ ტყებუჩავა, ზურაბ შონია, შვილიშვილები ნათია, ქეთი, სალომე, ელენე, დები ციალა, ამელი, ნატო, დისშვილები მაკა, ბელა, ნუკრი, ქეთევანი, ნატო, მარიკა, ხათუნა, შვილთაშვილები ლიზი, მარი, ნიტა და უახლოესი ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ელენე (ლენა) ვლადიმერის ასულ ხომერიკის**

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: 6 აგვისტოს, 15 საათზე.

მისამართი: ევდოშვილის 2/10, კორპუსი VIII, I სადარბაზო, IX სართული.

გივი ჭყოიძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეზობელი, დიდი ოჯახის თავკაცი, ყველასათვის საყვარელი პიროვნება

**ამირან აროშიძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა: 4 აგვისტოს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## პარასკევი 2 აგვისტო

08.00 დ/ფ " ანატოლიის გარგარი" 09.10 საბ. მხ/ფ "**განძთა კუნძული**" 11.00 "ეკონომ მენიუ" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.35 მხ/ფ " სამყარო მშვენიერია" 14.30 დ/ფ "რუკების სილამაზე" 15.00 ან/სერ. "ტარატაბონგი" 15.05 ტ/სერ. "**ჭორიკანა**" 17.00 ტ/სერ. "**ნიკიტა**" 18.00 დ/ფ "ისტორიის შექმნა" 19.05 ტ/სერ. "**მაგდა ემი**" 21.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 22.00 "წითელი ზონა" 23.00 მხ/ფ "**მხარეთა აზრი**" (ტიტ.)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა". 10.30 "არგუმენტების დრო" (ხუთშ. გ/ჩვ) 14.00 დ/ფ "ევა ჟოლი" 16.00 დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" მე-5 (დასკვნითი) ნაწ. 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

08.00 მხ/ფ."**ყინულის პრინცესა**" 10.00 სერ. "**დაუვიწყარი**" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 11.20 სერ. "**ცივი გული**" 2 სერ. 12.30 მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) 14.40 იმედის გმირები (გ/ჩ) 15.15 რომ გადახვალ" გააჩერე (გ/ჩ) 16.00 სერ. "**დამალული სიმართლე**" 17.50 სერ. "**მაგნატები**" 18.50 სერ. "**აკრძალული სიყვარული**" 21.00 სერ."**დაბრუნება**" 22.00 ქ/სერ. "**შუა ქალაქში**" (გ/ჩ) 23.00 ქ/სერ. "**ცხელი ძაღლი – 4**" 2 სერ. 00.15 მხ/ფ. "**ბობი "ზის" სიკვდილი და ცხოვრება**" (პ.უოქერი)

08.00 მხ/ფ 10.00 სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" 11.00 სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 ქართ. მხ/ფ 14.00 სერ "**ერთგულების ძალა**" 15.30 ეკივოკი (გ/ჩ) 17.00 სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" 18.50 სერ. "**ტიტების დრო**" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ (გ/ჩ) 23.00 სერ. "**სიცრუის თეორია**" 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 საგალობელი 06.20 დოკ/ფ "საქართველოს სამოციქულო ეკლესია" 07.10 დოკ/ფ "რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დოკ/ფ "ილია II" 11.10 ისტორიის გაკვეთილი 11.45 ქრისტიანული სწავლება 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "**ლუკას სახარება**" 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45, 18.35 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.40 დეკორატიული ფლორა 15.50 კონცერტი - აღსაყდრებიდან 32 წელი 17.00 კვირიაკე 18.10 დოკ/ფ "ჩემო პატრიარქო" 18.40 ილიაობა 19.20 მხ/ფ "**გლახის ნაამბობი**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 საქართველო,ჩვენი სამშობლო 21.35 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 დოკ/ფ "სტუმრად პატრიარქთან" 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დროის ჩანაწერები 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე(გამ.) 02.15 ნიამორი

მაესტრო 7.00 ახალი ამბები კოლაჟი 7.30 მულტფილმები 9.30 მაგთიფანი (გამ.) 10.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 11.00, 15.30, 17.30 ფარული კამერა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 0.00, 2.00, 3.00 ახალი ამბები 12.40, 22.20, 3.30 თოქ–შოუ - "არგუმენტები" 14.40, 22.00, 1.30, 2.30, 5.30 "ყოველდღიური ამბები" 16.00 **სერიალი "შტორმი"** 18.05, 0.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 19.00 **სერიალი "1001 ღამე"**

tv9 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00 ახალი 8.05, 9.05, 10.05 ახალი დილა 11.05, 20.00 **სერიალი "ტკბილი შხამი"** 12.30, 17.30 როგორ შევხვდი დედაშენს 13.10, 14.30, 5.00 ცხელი შუადღე 15.30 დიდი დრო (გამ) 16.10, 17.10, 7.00 დოკ/ფ 18.00 ღია თამაში 22.00 BBC სერიალი. 23.30 სტერეოტიპი. 0.20, 3.50 მხ/ფ 1.50 ღია თამაში გამ

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

2 აგვისტო

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6541

ევრო — 2,198

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,545

100 რუსული რუბლი — 5,0345

## ამინდის პროგნოზი 2 აგვისტოსთვის




# „სერებრო“ ბათუმში იმღერებს

ეკა ირემაშვილი




ცნობილი რუსული ჯგუფი „სერებრო“ 4 აგვისტოს ბათუმის პიაცაზე კონცერტს გამართავს. ჯგუფი, რომელიც სამი გოგონასგან შედგება და სკანდალებითა და თავისი სექსუალურობით არის ცნობილი, ბათუმში შეკრებილი მსმენელისთვის არაერთ სიურპრიზს ამზადებს.

„სერებრო“ საქართველოს ხშირი სტუმარია. ისინი გასული წლის შემოდგომაზეც იმყოფებოდნენ საქართველოში და თბილისში კლუბში „ტრიუმფი“ კონცერტიც გამართეს. გოგონათა ჯგუფი 2007 წელს ცნობილმა რუსმა პროდიუსერმა მაქს ფადეევმა შექმნა გახმაურებული პროექტის „ვარსკვლავების ფაბრიკის“ მონაწილეებისგან. მათ თავიდანვე სექსუალური და სკანდალური იმიჯი აირჩიეს და ყურადღების მოდუნების საშუალებას არასოდეს აძლევდნენ მსმენელებს. ჯგუფის მიერ გადაღებულმა კლიპმა „მამა ლუბამ“ მათი პოპულარობა კიდევ უფრო გაზარდა, უფრო მეტიც, მათმა ნამუშევარმა არაერთ ადამიანს მისცა პაროდიის შექმნის საშუალება.

ჯგუფის მუსიკალური მიმართულებებია პოპი, პოპ-როკი, ევროპოპი, ტრიპ-ჰოპი და ელექტრო-პოპია. ამჟამად ჯგუფის წევრები არიან ანასტასია კარპოვა, ელენა ტემნიკოვა და ოლგა სერიაბკინა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 2 აგვისტოსთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** – დიდი სიხარული და საჩუქრები გელით. **კურო** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **ტყუპები** – ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კირჩხიბი** – არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **ლომი** – ახალი საქმე სარფიანი აღმოჩნდება, იმოქმედეთ. **ქალწული** – არ აჩქარდეთ, საქმე კარგად წავა. **სასწორი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **ღრიანკალი** – ახალი საქმე და ფული კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **მშვილდოსანი** – კარგად გაერკვიეთ სიტუაციაში და ისე იმოქმედეთ. **თხის რქა** – გადაღლილი ხართ, მაგრამ საქმეს მაინც უძლვებით. **მერწყული** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, თავს ლაღად გრძნობთ. **თევზები** – ფული გაქვთ, საყიდლებზე მიდიხართ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 2. ნივთიერება, რომელსაც უმატებენ მადნის დნობის დასაჩქარებლად; 3. სამთო-საინჟინრო საქმეში გამოყენებული ასაფეთქებელი ნივთიერება; 4. ადენის ყურეში მდებარე აფრიკული სახელმწიფო; 5. ქართველი საოპერო მომღერალი მამაკაცი; 6. ეგვიპტის ერთ-ერთი ფარაონი; 11. გარეგნული მომხიბვლელობა, ეშხი; 13. გამოგონების დამადასტურებელი მოწმობა; 14. ჩაის დეგუსტატორი; 15. გამაგრილებელი სასმელების გაჯერება ნახშირმჟავა აირით; 17. განას ნაკრებისა და „რეალის“ ფეხბურთელი; 18. ფულადი ჯილდო; 19. ფულის ერთეული ურუგვაიში.

**თარაზულად**: 7. ფოლადის ბაგირი; 8. მანათობელი მწერი; 9. სამშაბათის ძველი ქართული სახელწოდება; 10. მაიმუნის ძველი ქართული სახელწოდება; 12. სამხედრო სატუსაღო; 14. ყოველდღიური გაზეთი ინგლისში; 16. ზანგური ხალხური მუსიკის ჟანრი, ჯაზის წინამორბედი; 18. ბიჭვინთის ძველბერძნული სახელწოდება; 20. პოეტური ქმნილება; 21. კედელზე საკიდი ელექტრო ნათურა; 22. გერმანელი მეცნიერი, რომელსაც პირველს მიენიჭა ნობელის პრემია ფიზიკის დარგში; 23. ერთგულების მტკიცე პირობა; 24. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




# ჟურნალისტებმა მონიკა ლევინსკის მაცდუნებელი ჩანაწერი მოიპოვეს

ამერიკულმა „ნეიშენალ ესქუაიერმა“ თეთრი სახლის ყოფილი სტაჟიორის, მონიკა ლევინსკის აუდიოჩანაწერი გამოაქვეყნა, ვისთანაც რომანმა ბილ კლინტონი კინაღამ პოლიტიკურ კრახამდე მიიყვანა. ჩანაწერის საგაზეთო ვერსია ფართო მკითხველისთვის ხელმისაწვდომი პირველად გახდა.

„შევიტყვე, რომ ხვალ საღამოს მარტო იქნები. ორი წინადადება მაქვს შენთან, მაგრამ არაფერი გამოვა, თუ არ მნახავ... შემეძლო ტანისამოსის გახდა და... მოკლედ, ვიცი, როგორ მოგეწონებოდა შენ ეს ყველაფერი... ვიმედოვნებ, მალე შევხვდებით, იმედი მაქვს, ჩემს სცენარებს მიიღებ და როგორც მე მინდა, ისე გააკეთებ“, – ამბობს მონიკა ლევინსკი ჟურნალისტების ხელთ ჩავარდნილ ჩანაწერში.

აუდიოჩანაწერი სულ სამი წუთი და 47 წამი გრძელდება, ის 1997 წლის ნოემბერშია გაკეთებული და მასზე მხოლოდ მონიკა ლევინსკის ხმა ისმის.



ჩანაწერის მიხედვით, გოგონა აშკარად მიმართავს აშშ-ს 42-ე პრეზიდენტს. შემდეგ საუბარია იმაზე, როგორ უნდა მოეწყოს შეხვედრა, რომ არავინ არაფერი იეჭვიანოს. ლევინსკი პრეზიდენტის მდივანთან, ბეტი კურისთან გრაფიკის კორექტირებასაც სთავაზობს.

„პირველი რაც გასაკეთებელია, ბეტისთან წინასწარ უნდა დაიგეგმოს, რომ შენ რვის ნახევრისთვის წახვალ, რათა ყველა დანარჩენი, ვინც ვერ მიტანს და ბევრ პრობლემებს მიქმნის, სახლში წავიდეს“, – ამბობს ლევინსკი.

„შემდეგ შენ სწრაფად და შეუმჩნევლად ბრუნდები, ამასობაში მეც გავჩნდები და მაშინ ჩვენ პატარა, ტკბილი შეხვედრა გვექნება, 15 წუთით ან ნახევარი საათით, როგორც მოისურვებ“, – აგრძელებდა პრეზიდენტის შებმას თეთრი სახლის მაცდური სტაჟიორი. ლევინსკი აზუსტებს, რომ მათი წინა „60-წამიანი რანდევუ“ არასაკმარისი იყო“.

მონიკა ლევინსკის მიერ შეთავაზებული მეორე ვარიანტი – ერთად კინოს ნახვა ან თან წამოღებული რაღაცეებით წახემსებაა.

„შენ არ შეგიძლია უარი მითხრა, რადგან მე ისეთი კარგი და მომხიბლავი ვარ და მალე აქ აღარ ვიბოდიალებ“, – დასძენს ჩანაწერში მონიკა ლევინსკი.

ბილ კლინტონის და მონიკა ლევინსკის კავშირის გახმაურებიდან 15 წელი გავიდა, მაგრამ მათი საიდუმლოებებისადმი ინტერესი კვლავაც შენარჩუნებულია. ინტიმური ურთიერთობების ფაქტი აღიარა როგორც ლევინსკიმ, ასევე კლინტონმა: მათ დაადასტურეს ცხრა „ეპიზოდი“, როდესაც ორალური სექსით კავდებოდნენ, მათ შორის თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში – აშშ-ს პრეზიდენტის მთავარ ოფისში.

გ. მ.

# რატომ არ უყვარს თავისი დაბადების დღე თენგიზ არჩვაძეს?

ეკა ირემაშვილი

**3 აგვისტოს ქართული თეატრისა და კინოს ლეგენდა თენგიზ არჩვაძე იუბილარია. როგორც მსახიობმა „ახალ თაობას“ განუცხადა, მას თავისი დაბადების დღე ძალიან არ უყვარს და ამის მრავალი მიზეზი აქვს.**



თენგიზ არჩვაძეს წელს 81 წელი უსრულდება. იგი ქართველი მაყურებლისთვის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი და გამორჩეული მსახიობია. ფილმები მისი მონაწილეობით ყველაზე პოპულარულია: „დიდოსტატის მარჯვენა“, „დათა თუთაშხია“, „ხევისბერი გოჩა“, „ხევსურული ბალადა“, „ვედრება“, „წიგნი ფიცისა“, „კეთილი ადამიანები“ – ეს იმ ფილმების მცირე ჩამონათვალია, რომელშიც მსახიობმა მიიღო მონაწილეობა.

პარალელურად იუბილარი ხელოვანი თეატრშიც მუშაობდა. თეატრალური ინსტიტუტის დასრულების შემდეგ მან მარჯანიშვილის თეატრში დაიწყო მოღვაწეობა, თუმცა შემდეგ გადავიდა რუსთაველის თეატრში. საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კი კვლავ მარჯანიშვილის თეატრს დაუბრუნდა. თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში თენგიზ არჩვაძემ მიიღო საქართველოს დამსახურებული და სახალხო არტისტის წოდება, სახელმწიფო პრემია, რუსთაველის პრემია და მისივე სახელობის ვარსკვლავი მშობლიური თეატრის წინ, რომელიც ორი წლის წინ საზეიმოდ გაიხსნა.

ამჟამად იუბილარი მსახიობი მონაწილეობს დიმიტრი ხვთისიაშვილის მიერ აღდგენილ სპექტაკლში „მგზავრის წერილები“, რომელიც თავის დროზე მარჯანიშვილის თეატრში რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ დადგა. სპექტაკლი ილია ჭავჭავაძის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით არის დადგმული. ეს არის ორმოქმედებიანი წარმოდგენა. პირველი მოქმედებაა „დამაკვირდი...“, რომელშიც გამოყენებულია ილია ჭავჭავაძის პოეზია, აგრეთვე „კაცია-ადამიანის“ ერთ-ერთი ვერსია, პუბლიცისტური წერილები „ერი და ისტორია“, „დავით აღმაშენებელი“, „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“) ინსცენირების ავტორი და დამდგმელი რეჟისორია დიმიტრი ხვთისიაშვილი. სპექტაკლში მონაწილეობენ როლანდ ოქროპირიძე (პირველი პროტაგონისტი, ავტორი, შვილიშვილი), ზვიად სხირტლაძე (მეორე პროტაგონისტი, გუბის ბინადარი, ბაბუა).

წარმოდგენის მეორე მოქმედებაში წარმოდგენილია „მგზავრის წერილები“. ამ სპექტაკლის პრემიერა შედგა 1982 წელს. სპექტაკლს „ასის წლის წინათ“ ერქვა, რომელშიც გაერთიანებული იყო „ოთარაანთ ქვრივი“, „მგზავრის წერილები“ და „კაცია ადამიანი“. საპრემიერო წარმოდგენაში ავტორის როლს თენგიზ არჩვაძე ასრულებდა, ოფიცერს თენგიზ მაისურაძე, ხოლო ლელთ ღუნიას იაკობ ტრიპოლსკი. ამჯერად დიმიტრი ხვთისიაშვილის მიერ აღდგენილ სპექტაკლში მოქმედი პირნი და შემსრულებელნი არიან ავტორი – თენგიზ არჩვაძე, გია ბურჯანაძე, ოფიცერი – დავით დვალიშვილი, ლელთ ღუნია – გივი ბერიკაშვილი. სპექტაკლში გამოყენებულია გომარ სიხარულიძის მუსიკა, რეჟისორის თანაშემწე კი ნინო ჟორჟოლიანია.

– ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა, ლექსები, აზრები და მისი უკვდავი მოთხრობა „მგზავრის წერილები“ ერთ სპექტაკლად არის აკინძული. თაობათა გადაძახილი, ორი სხვადასხვა თაობის რეჟისორისა და სხვადასხვა თაობის სამსახიობო ანსამბლით წარმოდგენილი ილიას მართალი და ბასრი სიტყვა... – ასე აფასებენ სპექტაკლს თენგიზ არჩვაძის მონაწილეობით.

**თენგიზ არჩვაძე:**

– ჩემი დაბადების დღე არ მიყვარს, ბატონო, არა!

***– რატომ?***

– ამის ბევრი მიზეზი არსებობს, მაგრამ მათ ცალ-ცალკე ჩამოთვლას აზრი არ აქვს.

***– წლები რომ გემატებათ, იმიტომ ხომ არა?***

– ალბათ, ეგეც არის, მაგრამ მიზეზი მართლა მრავალია.

***– საჩუქრები გიყვართ?***

– არც საჩუქრები მიყვარს, არ მომწონს, როცა ჩემ გამო ვინმე წუხდება.

***– წელს არ აპირებთ დაბადების დღის აღნიშვნას?***

– არა, ბატონო. არც დაბადების დღის სიხარული მაქვს და არც საამისო განწყობა. მიზეზი, კი როგორც მოგახსენეთ, საკმაოდ ბევრია.

# შენგელიამ ოპერაცია გაიკეთა

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და „ბრუკლინ ნეთსის“ ფორვარდ თორნიკე შენგელიას ნიუ იორკის კლინიკაში ოპერაცია გაუკეთეს.




შეგახსენებთ, რომ შენგელიას მარჯვენა ფეხის მუხლი აწუხებდა და, ექიმების რეკომენდაციით, ქირურგიული ჩარევა გახდა საჭირო.

ოპერაციამ ერთ საათს გასტანა და, ექიმების ცნობით, ნორმალურად ჩაიარა. შენგელია ნარკოზიდან უკვე გამოვიდა და თავს კარგად გრძნობს. ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ რამდენ ხანში იქნება მწყობრში შენგელია, მაგრამ სექტემბერში მისი ევროპის ჩემპიონატზე თამაში გამორიცხულია, ეს კი საქართველოს ნაკრებისთვის დიდი დანაკლისია, მით უფრო, რომ იგორ კოკოშკოვის განკარგულებაში არ იქნება ასევე ტრავმირებული, გუნდის კაპიტანი ზაზა ფაჩულია.

რაც შეეხება შენგელიას: ჩვენებური შარშან ნბა-ს წევრმა „ფილადელფიამ“ დრაფტზე 54-ე ნომრად აიყვანა, თუმცა იქვე „ბრუკლინ ნეთს“ შესთავაზა და ჩვენებურიც ნიუ იორკში აღმოჩნდა. მართალია, გასულ სეზონში ოკეანისგაღმა თავი დიდად ვერ გამოიჩინა, რადგან მცირე სათამაშო დრო ჰქონდა და საშუალოდ მხოლოდ 1,6 ქულას აგროვებდა, თუმცა საქართველოს ნაკრებს 2011 წლის ევროპის ჩემპიონატზე დიდად წაადგა – 8.8 ქულა და 4.6 მოხსნა. წელს ალბათ მეტი დრო ექნებოდა, მაგრამ...

მ. ჟ.